645
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა







# საქართველოს ქალი

თებერვალი
№ 2 1968 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. შერვუდი. გუშაგი

# გმირული, ძლევამოსილი, სახელოვანი 50

...ჩვენი ჯარი ძლიერია,
მაგრამ სხვა სიძლიერით,
შეგნებული დისციპლინით,
შეგნებული იერით.
იცის, რომელ მხარეს იცავს
იცავს სისხლით, იარით,
მტკიცედ ესმის დავალება
მხარის შრომისმიერის!
ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლებში მაგარი
რომ დაიცვას პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი!

გალაკტიონი

1930 წ.



# აღორძი-ნებული საქარ-თველო

10675

**რეპორტაჟი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენიდან**




სულ რამდენიმე საათში შეიძლება ნახო საქართველო, იმოგზაურო მის სხვადასხვა კუთხეში. ამის შესაძლებლობას იძლევა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, რომლის ექსპოზიციები ხატოვნად და თვალნათლივ უყვებიან იმ განსაცვიფრებელ ცვლილებებსა და წარმატებებზე, რასაც ქართველმა ხალხმა მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

მთავარ პავილიონში, პირველ რიგში, კულტურული ცხოვრების აღორძინებაზეა საუბარი. საქართველოს რესპუბლიკას განათლების მხრივ საბჭოთა კავშირში პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრაქტორი მაღალმთიანი ადგილებისათვის



ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“.

ადგილი უჭირავს, ხოლო მსოფლიოს ბევრ ქვეყანას კიდეც უსწრებს წინ. მალე იგი საყოველთაო სავალდებულო სწავლებას განახორციელებს. 18 უმაღლესი სასწავლებელი ყოველწლიურად ათასობით სპეციალისტს უზრდის ქვეყანას და ამავე დროს დიდ მეცნიერულ მუშაობასაც ეწევა.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა 1941 წელს. დღეს იგი 45 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და ინსტიტუტს აერთიანებს და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მსხვილ სამეცნიერო ცენტრს წარმოადგენს. ჩვენი აკადემიკოსები: ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ი. ვეკუა და სხვები არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები არიან. როცა საუბარია მიღწევებზე, შეუძლებელია გვერდი აუარო ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ატომურ რეაქტორს, სადაც წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერები.

ბევრი რამ შეიცვალა საქართველოს ხანდაზმულ მიწა-წყალზე, უძველესი კულტურის ძეგლების: ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკებისა და სხვათა გვერდით ახალი სოფლები და ქალაქები აღმოცენდა, განვითარდა მრეწველობა, გაჩნდა ღრმა შინაარსის დამტევი ცნება — ინდუსტრიული საქართველო.

1927 წელს ამუშავდა ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგური. მას შემდეგ საქართველოში 30 მსხვილი ელსადგური ჩადგა მწყობრში. ახლა შენდება ამიერკავკასიაში უმსხვილესი, ხოლო მსოფლიოში ყველაზე მაღალთაღოვანი — ენგურის ჰიდროელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე 1.640 ათასი კილოვატია.

ქართულ მარგანეცს ფართო გამოყენება აქვს საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ მრეწველობაში, იგი საზღვარგარეთაც გააქვთ. მარგანეცმა ჭიათურა მოწინავე ტექნიკის ქალაქად აქცია.

საქართველოს მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირს, ლოპოტის, მოლითის, ხალიეთის მარმარილოს. წიაღისეულით მდიდარია საქართველო. ეს სიმდიდრე ხალხის კეთილდღეობისთვისაა გამოყენებული. დიდად განვითარდა მრეწველობის სხვა დარგებიც; ქართული მანქანათმშენებლობის სიამაყეა თბილისის დაზგათმშენებელი და ელმავალსაშენი ქარხნები, ქუთაისის საავტომობილო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ბათუმის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები, მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვა საწარმოები.

განსაკუთრებული ადგილი უკავია მრეწველობაში მეტალურგიისა და ქიმიის ქალაქს — რუსთავს, რომელსაც 1944 წელს ჩაეყარა საფუძველი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მუშაობს სრული ციკლით — აწარმოებს კოქსს, თუჯს, ფოლადს.

მისი პროდუქცია — სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნაგლინი — გააქვთ მსოფლიოს 35 ქვეყანაში. მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე აღმოცენდა სხვა მსხვილი საწარმოები. 1955 წელს მუშაობა დაიწყო რუსთავის აზოტის ქარხანამ, 1960 წელს მწყობრში ჩადგა კაპროლაქტამის საწარმო, 1965 წელს კი — სინთეტური ბოჭკოების ქარხანა. ასე იქცა რუსთავი დიდი ქიმიის კერად.

დაახლოებით 70 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფართობი, იგი სიდიდით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ გამოირჩევა თავისი რელიეფის ნაირსახეობით: მუდმივი თოვლით დაფარულ კავკასიონის მწვერვალებსა და ალპურ ზონებს ცვლის ზეგნები, დაბლობები, ქართლისა და კახეთის ველები, კოლხეთის დაბლობი, შავი ზღვის სუბტროპიკული სანაპირო.

შესაბამისად ნაირდარგოვანია სოფლის მეურნეობა, რომელსაც გამოფენაზე ერთ-ერთი სპეციალური პავილიონი უჭირავს. აქ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეჩაიეობას. საქართველო მეჩაიეობის ძირითადი ბაზაა საბჭოთა კავშირში. ამის შესახებ ლაპარაკობენ პლაკატები, დიაგრამები. აქვეა წარმოდგენილი საქართველო, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის კლასიკური ქვეყანა. საერთაშორისო კონკურსებზე სამტრესტის პროდუქციამ 157 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ქართველმა მეცნიერებმა გამოიყვანეს ყურძნის ახალი, პერსპექტიული ჯიშები: „ქართული საადრეო“, „ღვინის თეთრა“, „ქართული მუსკატი“, „სახალხო თეთრა“, „თბილისური“.

მეციტრუსეობა საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა, ამდენად ახალი დარგია, მაგრამ მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობაში, ისევე, როგორც მეხილეობას, მემინდვრეობას, მეფუტკრეობას, მეცხოველეობას და სხვა.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საიდუმლოება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარებაში მდგომარეობს. პავილიონში წარმოდგენილია ხელსაწყოები, სხვადასხვა მანქანა-იარაღები და დანადგარები, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს სოფლის მეურნეობის სიამაყე, ჩაის საკრეფი მანქანა — „საქართველო“.

სახალხო მეურნეობის ასეთი მძლავრი აღმავლობა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია; დღითი-დღე მატულობს პროდუქტების წარმოება, იზრდება საქონლის პროცენტული მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე, დიდი ყურადღება ეთმობა კომუნალური პირობების გაუმჯობესებას. ომისშემდგომ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. 1.130 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცათ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთ. ქალაქ თბილისში ახალი მასობრივი დასახლებები გაჩნდა საბურთალოსა, დიღომსა და ვაკეში. ასეთივე სურათია სხვა ქალაქებშიც.

გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თბილისის ფერადი პანორამა, რომელზეც ასახულია საყვარელი დედაქალაქის ზრდა.

დიდად განვითარდა ჩვენში საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი. ხოლო რესპუბლიკაში ტრანსპორტის ახალი სახეობა გახლავთ დედაქალაქის სიამაყე, მიწისქვეშა ტრანსპორტი — თბილისის მეტროპოლიტენი.

ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორღაც ეჩვევი და დიდად არ გიკვირს შენი ხალხის წარმატებები და ის მოვლენები, რომელთა უშუალო მონაწილე ხარ, მაგრამ საკმარისია თვალი გადაავლო განვლილ გზას, მის ერთგვარ შემაჯამებელ სურათს, რომელსაც საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა იძლევა, რომ დაინახავ — რაოდენ დიდია წარმატებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქ, სადაც ბავშვებს მიუხარიათ



დილით ადრე გაიღვიძა. ალიონი ის იყო ცისფრად შემოდგომოდა ფანჯრებს.

— დედიკო, ავდგეთ, დაგვაგვიანდება...

— სად?

— საბავშვო ბაღში... დაგვიანება ხომ არ შეიძლება!

გაკვირვებულმა შევხედე — სიხარულით ტოკავდა იგი. ბედნიერების სხივი უკრთოდა დიდ, შუქიან თვალებში. აღარსად იყო წინადღის სევდა. დამშრალიყვნენ ცრემლებიც.

— მე ნინო მასწავლებელი მყავს! კიდევ სონია მასწავლებელი... ჩვენს ბაღში ბევრი სათამაშოები გვაქვს, არწივიც გვყავს, ბაჭიებიც, ოქროს თევზებიც, ქათმებიც...

— მართლა? ეს რა კარგი ბაღი გქონიათ, რა კარგი ბაღი... — ხმამაღალი ფიქრი გულში უხმოდ გავაგრძელე. მან შესძლო მშობლიურ გარემოცვას შეჩვეული ბავშვების სიყვარულისა და ნდობის დამსახურება. ეს დიდი გამარჯვებაა, გამარჯვება კი თავისთავად არ მოდის. ამისათვის ყველაფერს აკეთებს თბილისის №1 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელთა კოლექტივი, რომელსაც საქმის კარგი მცოდნე, უნარიანი და ენერგიული ქალი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ქეთევან კაკუშაძე ხელმძღვანელობს.

ბაღი 1922 წელს დაარსდა. იგი თითქმის საბჭოთა საქართველოს თანატოლია. მისი პირველი გამგე დამსახურებული მასწავლებელი ნატალია უნაფქოშვილი იყო. 40 წელი ემსახურა საყვარელ საქმეს ღვაწლმოსილი პედაგოგი. 1962 წელს პენსიაზე გადავიდა. ესტაფეტა ღირსეულს გადაეცა...

დაიწყო ბაღის მომავალზე ზრუნვისა და ფიქრის დღეები... ქეთევანი მიღწეულით არ დაკმაყოფილდა. საჭირო იყო მეტი, ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური მზარდი მაჯისცემა მოითხოვდა ამას. ახალმა გამგემ საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ბაღის შეფთან — ლენინის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან. მალე ბაღის ეზოში სოფლის წარმტაცი პეიზაჟი გადაიშალა: კლდიდან მოწანწკარებს ნაკადული, ირგვლივ კოინდარი აზურმუხტებულა, ტაფობში ჩატბორილ წყალზე პატარა ბოგირი გაუდვიათ... გინდა გაიარო ზედ, გინდა წყაროს წყლით აივსო პეშვი და სახეზე შეისხურო...

ეზოს შესასვლელში ფანჩატური გაჭიმულა. ი.ზაბელას თამამი ლერწები ხალისით მოსდებია რკინის რიკულებს. ჩრდილში ხის მორები გდია, სინამდვილეში — მორებისგან გამოთლილი დეკორატიული საბავშვო



საბავშვო ბაღის გამგე
ქეთევან კაკუშაძე აღსაზრდელებთან.

სკამები. გაზონებში დიდხანს ჰყვავიან ვარდები, გრაკლისა და ჰორტენზიის ბუჩქებსაც არ გაუხდიათ მწვანე სამოსი, ქარი არხევს ტირიფის გაშლილ დალალებს...

თვალს ხიბლავს სილამაზე, ბუნებრიობა, უშუალობა. პატარების გულს ამიტომაც მიუხარიათ თავისი მშობლიური საბავშვო ბაღისაკენ. იქ მათი სამყაროა, იქ ბავშვთა ქალაქია გაშენებული, პატარა ქალაქი — პატარა მოქალაქეებისათვის, იქ მათი ხაუფლოა, იქ მათი საყვარელი მასწავლებლებია.

ბაღი გონივრულად მოფიქრებული რეჟიმით მუშაობს. საძინებელი ოთახები ფართოა და ნათელი. საწოლები მოხდენილი და მოხერხებული. ირგვლივ არაჩვეულებრივი სისუფთავეა. ბავშვებიც წესიერად და კოხტად ჩაცმულები მოჰყავთ მშობლებს, რომლებსაც სურვილისამებრ უფლება ეძლევათ იმორიგეონ და საკუთარი თვალით იხილონ, როგორ სრულდება დღის რეჟიმი, როგორ იკვებებიან მათი შვილები, რა სახის აღმზრდელობითი სამუშაოები უტარდება მათ. ბავშვებს ბაღში მიღებული ცოდნა-ჩვევები ოჯახში გადმოაქვთ. თვალნათლივ იგრძნობა ენერგიული შრომის შედეგები. სწორედ ამიტომაც თბილისის № 1 საბავშვო ბაღის ალსაზრდელებმა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოწყობილ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურეს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა კვებას, მრავალფეროვანი საკვების შერჩევასა და კერძების გემრიელად მომზადებას. მაგიდები სუფთად, სასიამოვნო ფერისა და ფორმის ჭურჭლებით იწყობა, ბავშვებში დაინერგა კულტურულად ჭამის ჩვევები. ბაღი ძირითადად საკუთარ მიკრორაიონში შემავალი ბავშვებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ ნორმალურ კონტიგენტზე ლაპარაკი აქ ზედმეტია... მოდიან ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდანაც.

— უარის თქმა არ ხერხდება, — ღიმილით ლაპარაკობს ქეთევანი, — მართალია, გადატვირთულ ჯგუფებში მუშაობა ძნელდება, მაგრამ სიძნელეებს საქმის სიყვარული სძლევს. მშობლები კმაყოფილი გვყავს, ბავშვებს ჩვენსკენ მოუხარიათ...

ბაღში საქართველოში გავრცელებული ხეხილის ყველა ჯიშია გაშენებული. ბავშვები ახლოს უნდა იყვნენ ბუნებასთან, ამიტომაც შეუქმნეს მათ ეს გარემო. დაე, საკუთარი თვალით იხილონ ბუნების ფერისცვალება, ბუნების სასწაულები.

ბაღში მუშაობს მეთოდკაბინეტი, რომელიც მომსახურებას უწევს არამხოლოდ საკუთარ თანამშრომლებს, არამედ მთელი ორჯონიკიძის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაკებსაც. ბაღთან შექმნილია მშობელთა კომიტეტი და მშობელთა ლექტორიუმი.

ჩვენი ნორჩი თაობის აღზრდა საიმედო ადამიანებს აბარიათ: მოწინავე მასწავლებლებს — ნინო მთვარელაშვილსა და სონია გაბუნიას, ახალგაზრდა პედაგოგებს — ნორა კუტუბიძეს, იულია თვალავაძეს, თინათინ ნიქაბიძეს, თინათინ ხომასურიძეს, რუსუდან ლორთქიფანიძეს.

ისინი არასოდეს დაივიწყებენ თავიანთ აღზრდილებს.

არც კუდრაჭები დაივიწყებენ თავიანთ საყვარელ აღმზრდელებს, მშობლიურ ბაღს, როცა ჩანთებით ხელში სკოლისაკენ გასწევენ და გულის თრთოლვით გადაშლიან „დედა ენას“, არც მაშინ, როცა სქელტანიან წიგნებს ჩაუჯდებიან და არც მაშინ, როცა ცხოვრების მღელვარე ტალღებს შეერთვიან, მზის დასაპყრობად აფრენილები, არ დაავიწყდებათ მშობლიური ბაღი, რადგან გული მუდამ სათუთად ინახავს საუკეთესო მოგონებებს.

მ. მიქაძე





საბავშვო მწერლები გ. კაჭახიძე და ნ. ჩაჩავა სტუმრად ბავშვებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეექვსე სამკერვა-ლოში



რაციონალიზატორთა ჯგუფი. ცენტრში ფაბრიკის დირექტორი მ. ვალიანი.

სირაჯხანა... ქარვასლა... ნარიყალა... საოქრომჭედლოები... ყარაჩოღელები და ხელოსნები... თითქოს ახლაც ხედავ აქ მიმავალ ფიროსმანს, ფერებისა და კომპოზიციის ჯადოქარს; თითქოს გაუხარელ ტატოსაც დალანდავ. დამძიმებული ფიქრებით, გულგატეხილი მიეშურება მტკვრის ნაპირისაკენ, მის აზვირთებულ ტალღებს რომ გაანდოს მძიმე ნაღველი და „შავბა იგრძნოს". აქ დადიოდნენ საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრები, სახელოვანი ადამიანები. და ამ ადგილს, ამ მოედანს მეფე-სარდლის — ერეკლე მეორის სახელი ჰქვია.

სწორედ ამ მოედანზეა მოთავსებული თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკა, რომელსაც რესპუბლიკაში მოწინავის სახელი აქვს მოხვეჭილი. გარედან ფაბრიკის შენობა ყაზარმასა ჰგავს, ცივია და გულმიუვალი. მაგრამ საკმარისია შენობაში ფეხი შედგა, იგრძნო შრომის მძლავრი და რიტმული მაჯისცემა.

* * *

...გვერდში მაღალი, შავგვრემანი გოგონა ამომიდგა და მეგზურობა შემომთავაზა. ის ყაზბეგის მარად თოვლიანი მთების შვილი, ინჟინერ-ტექნოლოგი იზოლდა ფიცხელაური აღმოჩნდა, ფაბრიკის მთავარი დისპეტჩერი და პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე.

მარჯვნივ გავუხვიეთ. ვეებერთელა, ნათელ სამქროში შევედით, გრძელი, განიერი მაგიდები... ყოველ მაგიდასთან უშველებელი აგრეგატია გამართული და მის გარშემო ორი-სამი კაცი ტრიალებს. ყველა მაგიდაზე გარკვეული ოპერაცია სრულდება: ერთზე გაჭიმულია ძვირფასი ქსოვილი და ზომა მოწმდება, მეორეზე — წუნი. სხვაზე — ხარისხი. შემოწმებული ქსოვილი აქიდან საგამომჭრელო სამქროში გადადის. იქ თარგების და ზომების მიხედვით ავტომატური ელექტროგამომჭრელი მანქანა 40 ცალს ერთად აძლევს თარგის ფორმას, მერე, სტაციონალური ლენტური მანქანის საშუალებით, სწორდება წვრილმანი დეტალები და დანომვრის შემდეგ, ლიფტითადის მეორე და მეოთხე სართულზე, შემკერავ სამქროებში.

შემკერავ სამქროში, რომელსაც ოვალს ძლივს უწვდენ, დიდიხანია პრიმიტიული მოწყობილობა ახალმა მანქანებმა შესცვალა. ფაბრიკის განკარგულებაში 1966 წლისათვის უკვე 263 მანქანა იყო, მათ შორის 150 უნივერსალური და 43 სპეციალური. მაგიდები რამდენიმე მწკრივად გაუმართავთ ოსტატები ყურადღებით ჩაჰკირკიტებენ თავიანთ სამუშაოს. განაპირა ხაზზე, მთელ სიგრძეზე გამართულ საკონვეიერო ნაკადს შენიშნავ. იგი 1967 წლიდან დაინერგა. აქეთიქიდან თვალის დახამხამებაში სრულდება შარვლის თუ პიჯაკის შეკერვის სხვადასხვა ოპერაცია. სულ ბოლოში კი უკვე საბოლოოდ გამზადებული პროდუქცია ჩადის, რომელსაც მხოლოდ ღილის და ღილკილოს გაკეთებაღა სჭირდება. იქ წუნმდებლები, თავიანთი უკანასკნელი ვიზით, მზა პროდუქციას საწყობში გზავნიან.

თითქმის ყველა სამქროს ქალი ხელმძღვანელობს. ის ან ძველი, გამოცდილი მუშაა, ან უმაღლესი სპეციალური განათლების ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგი.

— ჩვენი ფაბრიკის დირექტორიც ხომ ქალია, მარიამ (გუგული) დომენტის ასული ავალიანი, უნარიანი, გამჭრიახი გონების და გულისხმიერი ხელმძღვანელი. განათლებით ეკონომისტია, მაგრამ ჩვენს ფაბრიკას უკვე მეთოთხმეტე წელიწადია ხელმძღვანელობს და პრაქტიკულად შესანიშნავად დაეუფლა სამკერვალო საქმეს. ახლა წარმოებიდან მოუწყვეტლად ეუფლება სპეციალურ ცოდნას — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე სწავლობს, მეოთხე კურსის ფრიადოსანი სტუდენტია, — მეუბნება პარტორგანიზაციის მდივანი გიული ნიკოლაიშვილი.

ვესაუბრები ფაბრიკის დირექტორს და ვიხიბლები მისი უშუალობით, სისადავით.

ფაბრიკაში მოსვლამდე მან კომკავშირული, საზოგადოებრივი და პარტიული მუშაკის შესანიშნავი სკოლა განვლო. ფაბრიკაში მოსვლის პირველი დღიდანვე მიზნად დაისახა ერთგული და თავდადებული მუშაობით ყველა სიძნელე დაეძლია და წამგებიანი ფაბრიკა მოწინავეთა რიგებში ჩაეყენებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს თითქმის მიღწეულია. ჩვენმა ფაბრიკამ უდიდესი ცვლილებანი განიცადა, — ამბობს გ. ავალიანი. — პირველ რიგში ხელი მოვკიდეთ შენობის რეკონსტრუქციას, რაც 1959 წელში წარმოების მოგების ხარჯზე დავაგვირგვინეთ. დღეს ჩვენი ფაბრიკა წარმოგვიდგება როგორც მოწინავე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, შრომის ორგანიზაციის სრულყოფილი ფორმის საწარმო, რომელიც ყოველდღიურად იბრძვის უფრო მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის. ფაბრიკას შესანიშნავი ადამიანები ჰყავს, მუშები: ლ. ჩირგაძე, ვ. გრიგორიევა, ა. ალუაშვილი, ა. კარგარეთელი, ქ. ბიტარიშვილი, მ. მარტიროსოვი, მ. ოჩიგავა; საამქროს უფროსები: მ. სტეფანიშვილი, მ. ჯანგიძე, მ. მუნჯიშვილი, ნ. დეკანოსიძე; საგეგმო განყოფილების უფროსი, ჩვენი ფაბრიკის ცოცხალი მატიანე, დამსახურებული ეკონომისტი ე. თიკარაძე; მთავარი ინჟინერი შ. სეხნიაშვილი, რომელსაც მამამ, ძველმა სპეციალისტმა ი. სეხნიაშვილმა ამ ფაბრიკის ბედ-იღბალი თითქოს მემკვიდრეობით გადააბარა, დირექტორის მოადგილე მომარაგების დარგში ი. ბაგიშვილი; მექანიზაციის დარგში მომუშავე გ. არუთინოვი, საფაბრიკო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ახლა პარტორგანიზაციის მდივანი, ინჟინერ-ტექნოლოგი გიული ნიკოლაიშვილი, მთავარი ბუხჰალტერი ვ. ბერაია და მრავალი სხვა. ჩვენს ფაბრიკაში ახლა 10 კომუნისტური შრომის ბრიგადა მუშაობს და მუშების 94,8 პროცენტი ამ ბრიგადებშია ჩაბმული.

— გთხოვთ ორიოდე სიტყვა მითხრათ ექსპერიმენტალური საამქროს მუშაობაზე.

— კარგად იცით ადამიანისათვის რა მნიშვნელობა აქვს კოხტად და თანამედროვე მოდის მიხედვით ჩაცმას, — ამბობს დირექტორი, — ტანსაცმელში სწორი ფერების და ხაზების შეხამება იმასვე ნიშნავს, რასაც მუსიკალურ ნაწარმოებში ბგერების სინარნარე, ხოლო მხატვრობაში — შეგანიშნავად აღქმული პეიზაჟი. როცა ადამიანს მოხდენილად აცვია, უფრო ლაზათიანად გამოიყურება და მოძრაობაც თავისუფალი და შეუზღუდველი აქვს. ამიტომ ჩვენი სპეციალისტები ცდილობენ არ დაზოგონ ცოდნა და უნარი და ნამუშევარი უფრო მიმზიდველი გახადონ. ჩვენთან ექსპერიმენტალური საამქრო 1961 წელს ჩამოყალიბდა, დღითიდღე უმჯობესდება მოდელები. საამქროს უფროსია ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ნ. დეკანოსიძე. მას მხარს უმშვენებენ ინჟინერ-კონსტრუქტორები: ს. ბურჯანაძე, თ. გრიგოლაშვილი, ნ. ნადირაძე, გ. აკოფოვა, ოსტატები: მ. მარგიშვილი, ნ. დავიდოვა და სხვები. ისინი მოდელების რესპუბლიკური სახლიდან მიღებულ მოდელებს ამუშავებენ და ბევრს საკუთარსაც და სასარგებლოსაც ჰქმნიან.

— თქვენს ფაბრიკაში მარტო მამაკაცის ტანსაცმელი იკერება?

— ხშირად ქალის ტანსაცმელსაც ვკერავთ. ფაბრიკამ მამაკაცის კოსტუმების კერვაში იმ დონეს მიაღწია, რომ ჩვენი პროდუქცია სხვადასხვა რესპუბლიკაში გადის და მოწონებასაც იმსახურებს, ამაზე მეტყველებს ფაბრიკის მიერ მიღებული გარდამავალი დროშები და ბოლოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გადმოგვეცა.

რასაკვირველია გვაქვს სიძნელეებიც. ხელს გვიშლის შენობის სიმცირე, — აგრძელებს გ. ავალიანი. — ჩვენი ფაბრიკა 945 მუშა-მოსამსახურეს ითვლის, სასადილოს შენობა კი იმდენად მცირეა, რომ ერთდროულად მხოლოდ 100 კაცის გატარების უნარი აქვს, შესვენების ხუთ ნაკადად დაწესება ხელს უშლის წარმოების ნორმალურ მუშაობას, არღვევს შრომის დისციპლინას.

მიუხედავად ამისა, ფაბრიკა მაინც ინტენსიურად მუშაობს, კოლექტივმა ახალი ვალდებულება იკისრა: ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ხუთწლიანი გეგმა 1970 წლის 1 ნოემბრისთვის, ხოლო 1970 წლის ხუთი თვის გეგმა ლენინის დაბადების დღისათვის შეასრულოს.

— ვფიქრობ, თავს არ შევირცხვენთ.

**თამარ ღვინიაშვილი**



ფაბრიკის რაციონალიზატორები




პირველი საამქრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სანადირაძე

# ბიჭი მეთევზეთა დაბაში ცხოვრობს...



მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მასწავლებელს მუქი ყავისფერი კაბა ეცვა. თმა უკან გადაევარცხნა და, ასაკთან შედარებით, ხნიერი გამოიყურებოდა. მან დიდი, მრგვალი ასოებით დაწერა დაფაზე: საშინაო დავალება: ,,ჩემი სახლი‘‘. მერე მობრუნდა, პენსნე მოიხსნა და გაიღიმა. კოტეს მოსწონდა ეს მაღალი და სანდომიანი სახის ქალი. მის გაკვეთილზე მუდამ გაყურსული იჯდა. სწორედ ამაზე ფიქრობდა ახლა. წვიმაში იდგა. მის წინ, ლიტაოდ აყრილ ხეებს შორის, აგურის დაბალი სახლები ჩანდა. აფიშის გასაკრავ ბოძს მიყრდნობოდა ზურგით. ციოდა. ლოყები გალურჯებოდა. კისერი მთლად ჩაემალა შალის ხეშეშ ყელსახვევში. მთელი იმ დროის მანძილზე, რაც იგი აფიშის ბოძს მიყრდნობილი იდგა, ხედავდა, როგორ მიცურავდნენ ელექტრონის მავთულებზე წვიმის წვეთები. მერე მობეზრდა აგურის ამ დაბალი სახლების წინ დგომა. თანაც, დედას ყოველ წუთს შეეძლო გამოეხედა სამზარეულოს სარკმელში, და გაცლა ამჯობინა. ქუჩის კუთხეში მანქანა გაჩერდა. ბიჭს უკან არ მოუხედავს, გადასჭრა პაწია სკვერი და სანაპიროზე გავიდა. თოლიები ჯგროდ დასტრიალებდნენ ნაპირზე ამოთრეულ ნავებს. ცივი ქარი ქროდა და იბინებოდა. ბიჭი მასწავლებელზე ფიქრობდა. მასწავლებელს, სიის ამოკითხვის დროს, ჟურნალი ძალზე ახლო მიჰქონდა თვალებთან. ამ დროს ბიჭები ხელს აიფარებდნენ პირზე და ჩურჩულს გააბამდნენ. რა თქმა უნდა, მასწავლებელს ხანდახან ესმოდა კიდეც მათი ჩურჩული, მაგრამ ვერასოდეს ხვდებოდა, რომელი იყო. დილით იკითხა: ,,ბავშვებო, ვინ არ შეასრულა საშინაო დავალება?‘‘ კოტე უკანასკნელ მერხზე იჯდა, ფანჯრის ახლო. ერთბაშად დაპატარავდა და გაიტრუნა. უცდიდა, ადგებოდა თუ არა ვინმე. მაგრამ კლასში მხოლოდ რვეულების შრიალი ისმოდა. ცოტაც და, მასწავლებელი მერხების შემოვლას დაიწყებდა. კოტე წამოდგა... ამის გახსენებაზე ბიჭი გაწითლდა. უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. ,,რატომ არ შეასრულე?‘‘ — ჰკითხა მაშინ მასწავლებელმა. ბიჭმა თავი დაღუნა. სიტყვაც ვერ დაძრა. მასწავლებელმა წამით შეიცადა მის მერხთან, მერე მშვიდად წარმოთქვა: ,,რატომ არ დაწერე?‘‘ ბიჭს არ შეეძლო ამის თქმა. ,,დაგავიწყდა?‘‘ ,,დიახ‘‘. ,,მაშინ, ხვალისათვის უსათუოდ მოიტანე, თორემ ნიშანს ვერ დაგიწერ‘‘. ამას უკვე ნამდვილად არ ელოდა ბიჭი. თავი დაუქნია და დაჯდა. მერე ესმოდა, სიის მიხედვით, როგორ კითხულობდნენ ბავშვები შინ შესრულებულ დავალებას, და როგორ უმაღლებდნენ ხმას იმ ადგილას, სადაც მამაზე ეწერა.

ბიჭი ჯერ არ აპირებდა უკან დაბრუნებას. ახლა, ამ მიმწუხრზე, მარტოდ ყოფნა სურდა. რომელიღაც ეზოს გვერდი აუარა, ალაგეზე გადავიდა და ნავების შემკეთებელ სახელოსნოსკენ გასწია. ჰაერში ადუღებული ფისისა და წებოს სუნი ტრიალებდა. სახელოსნოდან ათიოდე ნაბიჯზე კარავი იდგა. იგი დაბის ბიჭებს აეშენებინათ სათამაშოდ. კარავი თუნუქის დამდნარი, უკვე ჟანგიანი ნაჭრებით იყო დახურული, თანაც ისე როყიოდ, რომ აქა-იქ წვიმა ატანდა. კოტე მშრალ კუთხეში ჩაცუცქდა. იგი ზურგით იჯდა ზღვისაკენ. უყურებდა ბაღებს, შუქურას, მეტეოროლოგიურ სადგურსა და მაღალ მთებთან შეხიზნულ ღრუბლებს. კაცის ჭაჭანება არ იყო ირგვლივ. რატომღაც წარმოიდგინა, თითქოს ამ კარავში სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო. თითქოს იქ, რამდენიმე ნაბიჯზე, სხვა ქვეყანა იყო, რომელსაც აწვიმდა და აწვიმდა. ფეხსაცმლის წვერით მშრალი სილა გაქექა. დაიხარა, ბრტყელი, მომცრო კენჭების შეგროვება დაიწყო.

სკოლა, სადაც იგი სწავლობდა, მეთევზეთა სამმართველოს გვერდით იყო. სკოლაში წასვლის წინ, საუზმის დროს, მას ესმოდა, როგორ ყვიროდა მამა მეორე ოთახში. ბოლოს ლარნაკი ან სარკე გატყდებოდა და ძალზე მაგრად გაჯახუნდებოდა ქუჩაში გასასვლელი კარი. ამის შემდეგ, დედა ფერმკრთალი შემოდიოდა სამზარეულოში და ცრემლმორეული ამბობდა: ,,ღმერთო, რა უსინდისოა, უბრალო წვრილმანზე აყვირდება და გიშარებს, მერე და, რისთვის? ხელფასი არ მომთხოვოსო. რას მოთხოვ, რაც არა აქვს. გუშინ გამოთვრა და ჭკუასგადამცდარი რესტორნიდან რესტორანში დაბორიალობდა.‘‘

ბიჭი გვერდზე მისწევდა თეფშს, რომელზეც ყოველთვის სტოვებდა უკანასკნელ ლუკმას, ხელს დაავლებდა ჩანთას და გარბოდა. მაგრამ პარმაღზე გულმკვდარი შეჩერდებოდა, — მამა არსად ჩანდა. მამა არასოდეს არ უცდიდა ბიჭს. მათ ერთი გზა ჰქონდათ, — სკოლა ხომ მეთევზეთა სამმართველოს გვერდით იყო. პირველად კოტე არ აქცევდა ამას ყურადღებას. მერე კი საშინლად განიცდიდა. ,,რატომ არ მიცდის მამა? — ეკითხებოდა დედას, — რატომ არ უნდა მამას ჩემი გაყოლა?‘‘ დედა არაფერს ეტყოდა, თვალებში რაღაც უცნაური შუქი გაუციმციმდებოდა.

როცა დათოვდა, სხვა მამები ბიჭებს ტყის ქათამზე წაიყვანდნენ სანადიროდ; რა თქმა უნდა, ბიჭებს თოფს ვინ აღირსებდა, მაგრამ ისიც სასიამოვნო იყო, როცა ნადავლით სავსე ბადურას აჰკიდებდნენ. სხვა მამები შვილებს უკეთებდნენ ციგებს, დაჰყავდათ კინოში, ასწავლიდნენ ანკესების გამართვას... რაც



# ჯილდო [illegible]

გაცრეცილა იმერეთის ცა. გაცრეცილ ფონზე უფრო მიმკრთალი და ფერმიხდილი ჩანს ბურუსში გახვეული „მოდინახე“. ეს კი ერთიორად მატებს მას მშვენებასა და სილამაზეს, მიმზიდველსა და ამოუცნობს. იდუმალსა და მიუწვდომელს ხდის ჩემთვის...

ცივა. წვიმს. სასტუმროში მეგზურს ველოდები. აი, ისიც, კარებში დგას და იღიმება თამილა გურული.

— მესამე დღეა ასე ცრის, — ამბობს მძღოლი იური ლომიძე, და საირხისაკენ მიმავალ გზას მივუყვებით.

სოფლის თავზე ეშვება ჩამოწოლილი ნისლი.

— მაშ, ჩვენმა სამახსოვრო დროშამ ჩამოგიყვანათ!.. — განაგრძობს მძღოლი.

საჩხერის რაიონში გარდაუვალს უწოდებენ სამახსოვრო დროშას, რომლითაც სოფელ საირხის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა დააჯილდოეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში.

კოლმეურნეობის გამგეობის კანტორაში მისვლამდე ვათვალიერებთ ორსართულიან ქვითკირის შენობებს, ლამაზ ეზოებს, ახალი შენობების კონტურებს...

თავმჯდომარის ოთახი სავსეა ხალხით. საამოდ გიზგიზებს ღუმელი.

გულღია, თბილი კაცი ჩანს შალვა შავაძე. ენერგიული, მკვირცხლი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს თავიდანვე.

კაბინეტში შემოდის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ანდრო მაჭარაშვილი. კარგა ხანს ვსაუბრობთ.

...ექვსასამდე კომლი ცხოვრობს საირხეში. ოთხასოთხმოცი კოლმეურნიდან სამასორმოცდათექვსმეტი ქალია.

გავეცანი კოლმეურნეობის წარმატებებს. ვიცი, რომ საირხელებმა 124 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 173 ტონა ყურძენი; 50 ტონის ნაცვლად — 54 ტონა რძე; გეგმით გათვალისწინებული 11,5 ტონის ნაცვლად მოიყვანეს 20 ტონა ხილი და 13 ტონა ბოსტნეული, 7,3 ტონის ნაცვლად დაამზადეს 13,7 ტონა ხორცი.

აკაკი წერეთელი ერთ თავის წერილში შენიშნავდა: „...რა ყოფილა მიზეზი, რომ ზემო იმერეთში მეაბრეშუმეობას არ ეტანებიან?“ და გულდაწყვეტილი იქვე დაასკვნიდა: „არაფერი, გარდა გამოუცდელობისა და შეუგნებლობისა“.

და ახლა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ზემო იმერეთის მარტო ერთი სოფლის მშრომელებმა სახელმწიფოს 1.550 კილოგრამის ნაცვლად 1.750 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს.

გადიდდა კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი. საირხის კოლმეურნეობა ხელფასებითა და პენსიებით უზრუნველყოფს მშრომელებს.

* * *

ძლივს გადაიყარა ცამ საავდრო ღრუბლები. საგანგებოდ გადანახულ სითბოს ვტყუებთ ღონემიხდილ მზეს...

შევხვდი საირხელ მოწინავე ქალებს. მთელ რაიონში იცნობენ მევენახეებს — მარუსა, აგრაფინა და თინა შუკაკიძეებს, ანიკო კირვალიძეს; მესიმინდეებს — ნათელა და სადიკო ნადირაძეებს, მარუსა გელბახიანს, თამარ შუკაკიძეს; მებოსტნეებს — დადოსტი და სონა სადუნიშვილებს; მეაბრეშუმეებს — ნადია გაფრინდაშვილს, ბუდულა და ქეთო კაპანაძეებს, პილასი გელბახიანს, ლეონინე სხირტლაძეს; მწველავებს — მედიკო სოფრომაძეს, თამარ მეგრელიშვილს, გალინა შეყლაშვილს, ვენერა გაფრინდაშვილს...

ჩემს წინ ზის კოლმეურნეობის გამგეობის წევრი, პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი ანიკო კირვალიძე.

რას გაუჭირვებს ანიკო მეშვიდე ბრიგადის წევრებს? ლხინშიც პირველია და ჭირშიც. მასთან უკმეხობასა და სიზარმაცეს ვერ გამოიჩენ, სამუშაოს ვერ გააცდენ.

...შემოდგომა იდგა. გადაუღებლივ წვიმდა. ალიგოტეს ჯიშის ყურძნის ალება ფერხდებოდა. პარტიული ჯგუფის სხდომაზე გადაწყდა, რომ ამ ავდარში ანიკოს ბრიგადის წევრებს სამი ტონა ყურძენი მოეკრიფათ...

ჩვენსკენ მაღალი, გამხდარი მამაკაცი მოეშურება. მეშვიდე ბრიგადის ბრიგადირი ივანე სამხარაძე „ზუსტ“ ცნობებს მაწვდის თავის მერგოლეურზე — ლეონინე სხირტლაძეზე. იგი სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობს. ათი წელია რგოლს ხელმძღვანელობს და კოლმეურნეობის გამგეობის წევრიცაა. მესამედ აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად. კალვათას უბანში რომ სასმელი წყალი გამოვიყვანეთ, ლეონინესაც უნდა ვუმადლოდეთო...

ქალები სამუშაოზე მიიჩქარიან. ფერმისაკენ მივუყვებით გზას. კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლენა ლაცაბიძე გვერდიდან არ მშორდება. ისეთი ხბორები გვყავსო, ისეთიო... მეუბნება და ფეხს უჩქარებს...

...სამიოდე წლის წინ „თეთრი დოლი“ მოყავდათ საირხელებს. ამ ჯიშის ხორბალი ვერ ეგუებოდა ადგილობრივ პირობებს. ეკონომიური ანალიზის ბიურომ გადახედა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებს. კოლმეურნეობას ახლა უფლება ჰქონდა რენტაბელური დარგები ეწარმოებინა და... 46 ჰექტარზე დათესეს უხვმოსავლიანი საშემოდგომო ხორბალი „უფხო-1“, 25 ცენტნერამდე გაიზარდა საჰექტარო მოსავლიანობა, ხორბლის ნათესმა ფართობმა კი კოლმეურნეობას სამჯერ მეტი შემოსავალი მისცა.

ხარეკის, გორისის, მახათაურის, კორბოულის „რუსთაველის“, კორბოულის „ორჯონიკიძისა“ და ნიგვზარის კოლმეურნეობებმა მალე საირხელებს მიბაძეს...

— შრომის გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადასვლამ გაზარდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება. სამოცდაათ ოჯახს გადაეცა პრემია, — მეუბნება ანდრო მაჭარაშვილი. — გალინა შეყლაშვილმა 180 მანეთი და რამდენიმე ცენტნერი მარცვლეული მიიღო პრემიის სახით, თინა შუკაკიძემ — 150 მანეთი, მარუსა შუკაკიძემ — 180 მანეთი, ანიკო კირვალიძემ — 175 მანეთი.

ფერმაში ვართ. შავკაბიანი ქალი თავს დასტრიალებს მზეზე მიფიცხებულ ხბოს.

— ავად ხომ არ არის? — ვეკითხებით.
-- ექვსი დღისაა... ნახირს ვერ გავაყოლეთ, მუხლი არ მომაგრებია ჯერ... — გვიპასუხებს თამარ მეგრელიშვილი.

უწყინარი თვალებით მოგვჩერებია ხბო, რომლის „წინაპრები“ საირხელებმა ხერსონის ოლქიდან ჩამოიყვანეს. კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს ველის წითელი ჯიშის ძროხა. თითოეულ სულზე 600-700 კილოგრამით გაიზარდა რძის წარმოება.

ოცდათხუთმეტ ხბოს უვლის თამარი. ექვსი წელია ფერმაში მუშაობს. ოთხი შვილი გამოზარდა გამრჯე ქალმა და ახალი სახლიც გამართა.

• • •

ვაზის ტალავერის ქვეშ ვსაუბრობთ. ოჯახის უფროსი პორფილე შუკაკიძე გარდასულ დღეებს იგონებს.

...არ იყო მაშინ არც ეს ტალავერი, არც ეს მოვლილი, დაკრიალებული ეზო, მტრის თვალსაც რომ გაახარებს, არ იყო ეს ორსართულიანი კოპწია სახლი, მაშინ არც ეს თორმეტი შვილიშვილი იყო დაბადებული, ბაბუას სახლს რომ „იკლებენ“.

კარგახანია გაჰალარავდა პორფილე — ერთ-ერთი პირველი კოლმეურნე, და არც ახლა ავიწყდება სევდამწარებული ბავშვობა, მოგონებით ცისფერი თვალები უწყლიანდება მოხუცს, გალინა თანაგრძნობით შეჰყურებს მეუღლეს. ვინ იცის, მერამდენედ ისმენს ქმრის ნაამბობს...

შრომაში დღედაღამესასწორებდნენ.

ომი წამოეწიათ შუაგზაზე. ექვსი შვილი დაუტოვა ცოლს პორფილემ.

„ნაბოლარა“ მარუსა წამოჩიტული დაუხვდა მედლებით მკერდდამშვენებულ მამას, მერე მანონიც შეემატა.

ხუთი შვილი დააოჯახეს. პენსიონერცოლ-ქმარი ახლაც ალამებს საკოლმეურნეო მინდვრებში.

...ხეივანს აქა-იქ შემოუნახავს ბარაქიანი მტევნები. იყოს, გამოდგება. აგერ, შოთას ბიჭმა, ცელქმა დათომ ფეხი იტკინა და წევს. ვინ იცის, როდის მოიკითხავს ყურძენს. ჰოდა, ბებია გალინაც ახლადმოკრეფილი ყურძნით პირს ჩაუტკბარუნებს შვილიშვილს.

კეთილდღეობებით სასიამოვნო მასპინძლებს.

...თავსაფრიანი ქალები სასილოსე სიმინდს იღებენ. ჩვენგან მოშორებით განცალკევებულა წყვილი.

ერთად შრომობენ ცოლ-ქმარი ანიკო და ბიქტორ კაპანაძეები. ბიქტორი ესესაა სამსახურიდან დაბრუნდა და მეუღლეს ეშველება სიმინდის აღებაში.

...ომის დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარეები იყვნენ ანიკო და ბიქტორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ანიკო კაპანაძემ სწავლას მიანება თავი და სოფელს მიაშურა. იქ უფრო საჭირო შეიქნა იგი. უნარიანადაც ხელმძღვანელობდა ქორეთის კოლმეურნეობას. სა-



მედიკო სოფრომაძე და
გალინა შუკაკიძე

მეაბრეშუმე ნადია გაფრინდაშვილი



ანიკო კირვალიძე





აგრონომი ანდრო მაკარაშვილი
და მეაბრეშუმე ლეონინა
სხირტლაძე და ქეთევან კაპანაძე



სათესლე
სიმინდის
შერჩევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულო ომის ინვალიდი ბიქტორი კი კალვათას კოლმეურნეობას ჩაუდგა მაშინ სათავეში.

არასოდეს დაავიწყდება ბაბო გრძელიშვილს ანიკოს გულისხმიერება. წვრილშვილიან უბინაო ქალს კოლმეურნეობამ აუშენა სახლი... არც ოლღა გუდაძის ოჯახს მოკლებია თავმჯდომარის მზრუნველობა...

ერთად მიაბიჯებდნენ იმ ძნელადსავალ გზაზე ანიკო და ბიქტორი.

...შუადღე გადავიდა. შესვენების დროა. ახლა ჩაიმუხლებენ კოლმეურნეები. იქვე, მაღლობზე სხდებიან და საუბრობენ. მაგრამ სადაა ბაბუა ბაგრატი? ძნასთან ტრიალებს მოხუცი.

— გეყოფა, შეისვენე, ბაბუა ბაგრატ! — ეუბნებიან და აქეთ-იქით იწევენ, შუაში უთმობენ ადგილს სოფლის უხუცესს.

• • •

— კოლექტივში ყველანი შევედით, ბატონო — იწყებს ბაბუა ბაგრატი, — თოხი, ნამგალი, ცული, ხარი, ერთი სიტყვით, რაც გვქონდა, ყველაფერი შევიტანეთ...

მერვე ათეულ წელში გადააბიჯა ბაბუა ბაგრატმა და კოლმეურნეობის ზვრებსა და მინდვრებში შრომობს მაინც. ბაგრატ და მარიამ გულიაშვილები პენსიაზე გავიდნენ, მაგრამ შინ მაინც არ დგება ბაბუა ბაგრატი.

—ერთი ოთახი გვქონდა. თუ არ მეიხრებოდი, შესვლისას ჩალის ღეროზე წაახლიდი თავს. ამ ხელებს ხომ უყურებთ? — ამბობს ის და შლის შრომისაგან დაკოჟრილ ხელებს.

საირხელებს უყვართ ეს ტკბილმოუბარი მოხუცი.

— ყველაფერს კარგს მოვესწარი, ბიძია, -- ამბობს ბაბუა ბაგრატი, — სოფელში გვაქვს კლუბი, ყოველ მესამე კაცს ტელევიზორი უდგას სახლში... ზიხარ შინ და მთელი სოფლის ამბებს უყურებ... წელს ათი ჰექტარი ნასვენი მიწა ავითვისეთ. გაზაფხულზე ხუთ ჰექტარ ვენახს ჩავყრით, ორ ჰექტარზე ხეხილს გავაშენებთ. გამოვიყვანეთ წყალიც. ჩვენმა ქალებმა რომ დეიქინეს, ზედა კაპანაძეების უბანში მანამ გზა არ შეგვაკეთებინეს, არ შეისვენეს... მაგრამ ზოგი რამ მაინც გვაკლია: ურიგო არ იქნებოდა ჩვენს გოგობიჭებს თავშესაყარი ადგილი ჰქონოდათ. გვაკლია ახალი ტიპის ტრაქტორები, მრავალწლიანი ნარგავებისათვის შესაღობი მასალა. კარგი იქნებოდა სარწყავი არხის ქსელი გაგვეფართოვებინა, ხელოვნურად საწვიმარ აპარატებზე გვეზრუნა, სასუქი არ მოკლებოდა ჩვენს კოლმეურნეობას...

• • •

ელნათურები კიაფობენ საჩხერეში. გაჩირაღდნებულა „მოდინახე"... ქარტეხილების ამ მოწმის გვერდით ოცნებაში იკვეთება მგოსნის სილუეტი.

დაფიქრებული გადმოჰყურებს მშობლიურ მხარეს აკაკი.

„მოდი, ნახე და იცანი, არც შენ ინანებ, არც — ისა"...

**ნათელა ქიმერიძე**







# ცაცა ამირეჯიბი

სულ პირველად მარიამ დემურიამ ჩაუნერგა თეატრისადმი სიყვარული. ამ ცნობილ მწერალს, ქველმოქმედსა და საზოგადო მოღვაწე ქალს მუდამ თან დაჰყავდა ცაცა ამირეჯიბი ავჭალის აუდიტორიაში და ხანდახან იქ გამართულ სპექტაკლებშიაც ათამაშებდა პატარა როლებს. ამიტომაც გადაწყვიტა გოგონამ მოსკოვში მიეღო უმაღლესი თეატრალური განათლება, მაგრამ უსახსრობის გამო, ვერ შეძლო სწავლის დასრულება. 1911 წელს კი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით პირველად გამოვიდა ქართულ თეატრში, შეასრულა ზეინაბის როლი სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატში". დებიუტმა შესანიშნავად ჩაიარა და მეორე დღეს ცაცა ამირეჯიბი დასში იქნა ჩარიცხული.

ამის შემდეგ ცაცამ განასახიერა თამარ დედოფალი კოტე მესხის პიესა „რუსთაველში", გენრიეტა — დენერისა და კორმონის „ორ ობოლში", თავადის ქალი—გედევანიშვილის „გამცემში", კრუჩინინა—ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენში", ტერეზა—ფაღავიანის „კლდეში", კალფურნია — შექსპირის „იულიუს კეისარში", ვიტიხენი—ჰაუპტმანის „ჩაძირულ ზარში" მაშა — ტოლსტოის „ცოცხალ ლეშში", ელენე — გედევანიშვილის „მსხვერპლში", ჰერტრუდა— შექსპირის „ჰამლეტში" და სხვ.

შემდეგი სეზონი ცაცა ამირეჯიბმა ქუთაისში გაატარა. პირველი როლი, რომელიც აქ შეასრულა, იყო გუვერნანტკა — ნეპოტის პიესაში — „დედაკაცი და დედა". ამ როლზე მუშაობისას ცაცა სერიოზულად ღელავდა, რადგან დედის როლს ქართული სცენის მშვენება ნუცა ჩხეიძე ასრულებდა. მისი პარტნიორობა დიდი ნაბიჯი იყო დამწყები მსახიობისათვის. ნუცას ვირტუოზული თამაშით მოხიბლული ცაცა მაყურებლებთან ერთად უკრავდა ტაშს, მაგრამ აი, სრულიად მოულოდნელად, მისკენ გამოემართა თვით ნუცა ჩხეიძე, გოგონას ხელი ჩაჰკიდა და გვერდით მოიყენა. დარბაზის თალი კვლავ შეაზანზარა მქუხარე ტაშმა. მეორე დღეს ცაცას დიდი ქებაც დაიბეჭდა გაზეთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უჩა ჯაფარიძე

ბაბუას სიხარული

სსრკ სახალხო მხატვარს, სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ უჩა ჯაფარიძეს დაბადების 60, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და ჟურნალის მრავალრიცხოვანი მკითხველი ულოცავს საყვარელ მხატვარს სახელოვან იუბილეს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს და ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს.



ლედა



მხატვრის მეუღლე მარგარიტა



სიყრმის მეგობრები



მგზავრების შესვენება



ქალები „ახმეტიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პირველი თვითმფრინავი რაჭაში



ნესტანი



ქეთევანი — „ქეთევან დედოფალი“.



ზეინაბი — „ღალატი“.

იოსებ გრიშაშვილმა ლექსად მიუძღვნა თავისი ალტაცება, ცნობილი ლიტერატორი და კრიტიკოსი კიტა აბაშიძე კი ყველას ურჩევდა, ქუთაისის სცენაზე ენახათ კარგი ქართულით მოლაპარაკე, შესანიშნავი გრძნობისა და შთამაგონებელი ხმის მქონე ახალგაზრდა მსახიობი ცაცა ამირეჯიბი. ამ სეზონში ცაცამ შეასრულა ქალიშვილის ეპიზოდური როლები ზუდერმანის „ქვის მთლელში“, ითამაშა შალიკაშვილის „გადაჭრილ მუხაშიც“.

შემდეგი სეზონი ცაცამ ბაქოს ქართულ თეატრში გაატარა, სადაც, 1904 წლიდან, გამოჩენილ ქართველ მსახიობთა მთელი პლეადა მუშაობდა. ამის შემდეგ ცაცამ ერთი წელი დაჰყო თბილისში და მეორე სეზონიდან კვლავ ბაქოს თეატრში დაიწყო მუშაობა. ამ სეზონს ხელმძღვანელობდნენ შალვა დადიანი და ალექსანდრე წუწუნავა. პირველ პიესაში (სანდრო შანშიაშვილის — „უგვირგვინო მეფენი“) ბაქოს მაყურებელს ცაცა მოევლინა მხოლოდ როგორც მოცეკვავე, ხოლო დადიანის პიესაში—„გუშინდელნი“, რომელიც მაშინ პირველად წარმოადგინეს, ცაცა ამირეჯიბმა კნეინა ჩიტუნიას როლი შეასრულა. მან მკაფიოდ გამოკვეთა ამ გრძნობაგაცვეთილი, ეგოისტი, მაღალი წრის ქალის უარყოფითი სახე, და ცაცა ამირეჯიბი ჩიტუნიას როლის უბადლო შემსრულებლად იქნა აღიარებული. ამავე სეზონში ცაცამ თავის საბენეფისოდ დადგა ყიფიანის ისტორიული დრამა — „სამეგრელოს მთავარი ლევანი“. თვითონ თამაშობდა დარეჯანის როლს. ამ პიესაში ცაცა ამირეჯიბმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მაყურებელს, რომ მისი სახით ქართულ თეატრს დიდი შინაგანი მონაცემების მსახიობი ჰყავდა.

1917 წელს ცაცა ამირეჯიბმა გიორგი ჯაბადარის სტუდიაში დადგმულ სპექტაკლ „სარწმუნოებაში“ მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ეს სტუდია მალე დაიშალა უსახსრობის გამო. 1918 წელს ცაცა ამირეჯიბი მსახიობთა ჯგუფს გაჰყვა საგასტროლოდ დასავლეთ საქართველოში. რეპერტუარში ჰქონდათ სიო ჭანტურიშვილის პიესა „ბურუსი“ და ფოსის „დამნაშავეა“. პიესა „ბურუსმა“ დიდი გამოძახილი ჰპოვა მაყურებელში. ცაცა თამაშობდა ვექილ დავით სარდალიძის მეუღლეს—თეკლეს. იმავე წლის შემოდგომაზე კი ცაცა თავის მეუღლესთან-ვასო არაბიძესთან ერთად ქუთაისის თეატრში წავიდა და სეზონი ზეინაბის როლით დაიწყო. ამავე ხეზონში ითამაშა ევრიპიდეს მედეა და მაყურებელი როლში შეტანილი საკუთარი ნიუანსებით მოხიბლა.

1920-21 წლის სეზონში, ქართული თეატრის ყველა თვალსაჩინო მსახიობი რუსთაველის თეატრში იქნა მოწვეული სტაციონალურ სამუშაოზე. ამ სეზონში ცაცამ მხოლოდ შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფეში“ შეასრულა თეკლეს როლი, აღადგინა მისი საყვარელი კნეინა ჩიტუნია პიესაში „გუშინდელნი“ და ალექსანდრე იმედაშვილთან ერთად ითამაშა „ოიდიპოს მეფეში“.

ერთი სეზონი ცაცა ამირეჯიბი ბათუმის თეატრშიც მოღვაწეობდა იმედაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ კი თბილისში დაბრუნდა.

1923-24 წლის სეზონში, იუზა ზარდალიშვილის მიწვევით, ც. ამირეჯიბი კვლავ ქუთაისშია. სეზონი გახსნეს დავით ერისთავის „სამშობლოთი“. ცაცა ქეთევანის როლს ასრულებდა. სცენაზე მის გამოჩენას მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა. ერთ თვეში ქუთაისელებმა იუბილეც კი გადაუხადეს. ქუთაისის შემდეგ, ცაცა კვლავ თბილისს დაუბრუნდა და იმავე სეზონში შეასრულა ყველა წამყვანი როლი; ამავე დროს იგი სასცენო მეტყველებას ასწავლიდა აკაკი ფალავას მიერ გახსნილ სტუდიაში.

ცაცა ამირეჯიბი თავს ბედნიერად რაცხს, რომ შექსპირის „ჰამლეტში“ დედოფლის როლი მაშინაც შეასრულა, როცა უშანგი ჩხეიძე ბრწყინავდა ქართულ სცენაზე. ერთხანს ც. ამირეჯიბი კინოში გადავიდა. სადაც შეასრულა ორი ეპიზოდური როლი ალ. წუწუნავას ფილმებში: „ვინ არის დამნაშავე“ და „ჯანყი გურიაში“. მაგრამ გულმა კვლავ თეატრისაკენ გაუწია. სწორედ ამ პერიოდში იგი და მისი მეუღლე ვასო არაბიძე მიიწვიეს ქუთაისის თეატრში, რომელსაც იმ ხანად სათავეში ცაცას საყვარელი რეჟისორი მიხ. ქორელი ედგა. იმ სეზონში ქუთაისში შესანიშნავი მსახიობები იყვნენ თავმოყრილი და რეპერტუარის განრიგით ყველას საინტერესო სამუშაო ჰქონდა. ცაცა ამირეჯიბისათვის ამ სეზონის რეპერტუარიდან ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იუჯინ ო, ნეილის პიესა „სიყვარული ძეწნებში“, სადაც მან ახალგაზრდა ებბის როლი განასახიერა. 1928-29 წლებში ცაცას იწვევენ სოხუმისა და ხაშურის თეატრებში.

1932 წლიდან ცაცა კინოსტუდიაში იწყებს მუშაობას და რამდენიმე წლის მანძილზე მონაწილეობას იღებს შემდეგ სურათებში: „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „ар-

შაულა“, „უდაბნო“, „ხიდი ენგურზე“, „ნახვამდის“ „არსენა“, და „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. 1937 წელს ცაცა საქართველოს ფილარმონიასთან არსებულ მცირე ფორმის თეატრში მიიწვიეს, სადაც კონცერტებში იღებდა მონაწილეობას, როგორც შესანიშნავი მკითხველი. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ ცაცა ამირეჯიბის სამაგალითო მეტყველებასთან და ხავერდოვან ხმასთან არის დაკავშირებული ქართული რადიოს პირველი ნაბიჯებიც. რადგან პირველი ქართველი დიქტორები იყვნენ: ცაცა ამირეჯიბი და მიხეილ ქორელი.

1938-39 წლის სეზონში ცაცა ამირეჯიბს კვლავ ქუთაისის თეატრის სცენაზე ვხედავთ. პირველი როლი, რომელიც მსახიობმა ქალმა ამ სეზონში განასახიერა, იყო ფატი შალვა დადიანის პიესაში „ნაპერწკლიდან“. შემდეგ ისევ დადიანის პიესაში ითამაშა თავისი საყვარელი კნეინა ჩიტუნია. ქუთაისის სცენაზე, თერთმეტი შეუწყვეტელი სეზონის მანძილზე, ცაცა ამირეჯიბმა ბევრი დასამახსოვრებელი სახე შექმნა, მათ შორის აღსანიშნავია: ემილია — შექსპირის „ოტელოში“, დარეჯანი — გაბისკირიას პიესაში — „მათი ამბავი“, არინა ნაიდინოვა — „ვანიუშინის ოჯახში“, კრუჩინინა — ოსტროვსკის — „უდანაშაულოდ დამნაშავენში“.

1940 წელს, ქუთაისის თეატრის არსებობის 60 წლის აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით, თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ცაცა ამირეჯიბს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. 1949 წელს კი მან გულისტკივილით დატოვა ქუთაისის საყვარელი მაყურებელი, მეგობრები, სცენა და თბილისს დაუბრუნდა.

1952-53 წლის სეზონში ცაცა ამირეჯიბმა, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, უშ. ჩხეიძის პიესაში — „გიორგი სააკაძე“ — დედის როლი შეასრულა. ამაგდარ მსახიობს, ქართული თეატრის 100 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიანიჭეს.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ცაცა ამირეჯიბი დღესაც საყვარელ თეატრს დასტრიალებს, დროდადრო თამაშობს პატარა ეპიზოდურ როლებს კინოში. ხშირად იწვევენ დუბლიაჟში, რუსული ფილმების ქართულ ენაზე გასახმოვანებლად, გამოდის რადიოში მხატვრული კითხვით, სწერს და აქვეყნებს ნარკვევებს, მოგონებებს, აქვს საზოგადოებრივი დატვირთვა საქართველოს თეატრალური საზოგადოებიდან.

მუდამ კოხტა, მუდამ მხნე და მუდამ თავაზიანი, სამაგალითო ქართველი ქალი ცაცა ამირეჯიბი დიდი პატივისცემით სარგებლობს ჩვენს საზოგადოებაში.

ალა გაჩეჩილაძე



# იხარა ნერგმა...

ამბავი ხდება გორში. 1925 წელს. ქალთა განყოფილების თანამშრომელი ელენე ყორდანია ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტშია...

ისევ ეტყობოდა გორს მიწისძვრის კვალი, ისევ იდგა ქუჩებში ნანგრევების გორები, როცა 1922 წლის ზაფხულში ელენე იქ ჩავიდა თბილისიდან. დადიოდა ახალგაზრდა ქალი ქუჩებში და გული ეკუმშებოდა, აოხრებულს და იავარქმნილს რომ ხედავდა მშობლიურ ქალაქს. აქ გაატარა ბავშვობა, ახალგაზრდობის წლები. მამამისი მიხეილ ილურიძე აქ, გორის სასულიერო სასწავლებელში უკითხავდა მათემატიკასა და გეოგრაფიას შემდგომში გამოჩენილ რევოლუციონერებს: სოსო ჯუღაშვილსა და ლადო კეცხოველს, გიგუცა პარკაძესა და ივანე ყიფშიძეს.

ელენე ბავშვობაში სუნთქავდა ქართული ინტელიგენტური ოჯახის იმ ჰაერით, რომელიც დემოკრატიული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. ამ ოჯახში ყოველთვის პოულობდნენ თანაგრძნობასა და თავშესაფარს ერის პროგრესულად მოაზროვნე, მოწინავე წარმომადგენლები, პროფესიონალი რევოლუციონერები. თვით მისი ძმაც ბაგრატ ილურიძე, რომელმაც ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში პრაღის საბჭოთა კოლონია დააარსა, ადრე რევოლუციური მოძრაობით იყო გატაცებული.

1925 წელი.

მთელი საქართველო ფეხზე იდგა. ახალი იდეებითა და კეთილშობილური აზრებით შეპყრობილი მშრომელი ხალხი, რომელმაც ძალაუფლება ხელში აიღო, მთელ თავის ცოდნას (რომელიც მეტად შეზღუდული იყო), მთელ თავის გამოცდილებას (რომელიც უმნიშვნელო იყო) და, რაც მთავარია, მთელ თავის ენერგიასა და ენთუზიაზმს ახალი ცხოვრების აშენებას ახმარდა. ამ საერთო აღმაფრენისა და აღზევების ფერხულში იყო ჩაბმული გორიც. აკლდათ სასმელიც და საჭმელიც, ჩასაცმელიც და დასახურიც, მაგრამ ჭარბად ჰქონდათ ენერგია და გამარჯვების რწმენა.

„მერე, მე რითი შემიძლია ვემსახურო ხალხს. რა შემიძლია ვარგო გორს“, — ფიქრობდა სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ახალგაზრდა ქალი.

იგი გადაეშვა ახალი მშფოთვარე და დაუდგრომელი საქმიანობის შუაგულში. ე. წ. ქალთა განყოფილებაში დაიწყო მუშაობა, მერე კი მალე დაებადა ის იდეა, რომელმაც ახლა აქ, თავმჯდომარის კაბინეტში მოიყვანა და რომელიც შემდეგ მისი ცხოვრების ძირითად აზრად იქცა, თითქმის ოთხი ათეული წელი მოახმარა მას, მისით სუნთქავდა, მისით არსებობდა.

... ელენეს უნდა გააგებინოს საბჭოს თავმჯდომარეს მისი მოსვლის მიზანი, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან იგრძნო, რომ თავმჯდომარეს რატომღაც არ ესიამოვნა მისი შემოსვლა, პირქუშად შეხვდა.

მოულოდნელად საქმეში ჩაერივნენ საბჭოს სხვა თანამშრომლები, გააგებინეს თავმჯდომარეს, რაც უნდოდა ელენე ყორდანიას: საბავშვო ბაღის გახსნას მოითხოვს, კარგი იქნება მშრომელთა შვილებისათვისო... მიხვდა თავმჯდომარე — კარგსა და სასარგებლო საქმეს იწყებდნენ და მოლბა...

საბჭოს სხდომაზე განიხილეს ბაღის გახსნის საკითხი. მიწის ნაკვეთი და 600 მანეთი გამოუყვეს. ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა ორმოების ამოთხრას, ხეხილის ნერგების შეძენასა და ჩაყრას, დარაჯის ხელფასს.

ცას ეწია ელენე სიხარულით, დატრიალდა; ჯერ ბეროზაშვილებთან მივიდა.

— ფეფო, გენაცვალე, — მიმართა დიასახლისს, — შენს იქით გზა არა მაქვს, საბავშვო ბაღს ვხსნით და უნდა დაგვეხმარო.

ფეფოს ქმარი სკოლის დირექტორი იყო და ყველაზე უკეთ ის გამიგებსო, ფიქრობდა ელენე (სხვათა შორის, ლაპარაკია საქართველოს სსრ განათლების მინისტრის დღევანდელი მოადგილის ირაკლი ბეროზაშვილის მშობლებზე).

— შენი ხმალი და ჩემი კისერი, — უთხრა ფეფომ.

— აქ შენთან უნდა გავხსნათ.

— როგორ, სად? — გაიკვირვა ფეფომ,— ამ ორ ოთახში ისეც ვერ ვეტევით, სამ-სამი ბავშვი სად წავიყვანო? — მაგრამ, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ფეფო დათანხმდა (ბეროზაშვილების მთელი ოჯახი შუშაბანდს შეეხიზნა).

— მაშინ დავიბადე, როცა მთელი დღის ჩიჩინის და შეგონების, თხოვნისა და მუდარის შემდეგ, როგორც იქნა, დავითანხმე ზუბალოვის მეუღლე, რომ პიანინო ჩვენი ბაღისათვის დაეთმო.

— მაშინ გავცოცხლდი, როცა პატარებისათვის განკუთვნილი პირველი 40 სკამი და 20 მაგიდა შევიტანეთ საბავშვო ბაღში.

და ვინ მოთვლის, ასე რამდენჯერ „იბადებოდა“ და „ცოცხლდებოდა“ ელენე. —

— ადვილი სათქმელია „სკამები შევიტანეთო“, თქვენ ის თქვით, სანამ ეს მოხდებოდა, რამდენი რამ იყო გასაკეთებელი. — იგონებს ელენე... — იმ 600 მანეთით ხე-ტყე ვიყიდეთ, ქარხანას კი მუქთად დავახერხინეთ. მერე დურგლებისა და ხუროების შაბათობა მოვაწყეთ. შემდეგ შევიტანეთ სკამები და მაგიდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად მუშებისა და მოსამსახურეების 40 ბავშვი ჩარიცხეს ბაღში. მოდიოდნენ ბავშვთა მშობლები და ნახულობდნენ, თუ როგორ იყვნენ გამოწყობილი მათი პატარები, როგორ ერთობოდნენ თოჯინებით, როგორ სწავლობდნენ, როგორ აწყობდნენ ფეხსა და მღეროდნენ პიანინოს ჰანგებზე, მოდიოდნენ და სახეზე ნათელი ეფინებოდათ; თავიანთი თვალით ხედავდნენ, რას ნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლება, თუ რა მისცა მათ რევოლუციამ. ასე საქმით ეწეოდა ახალი ცხოვრების პროპაგანდას იმ დროს ბაღის ახალგაზრდა დირექტორი ელენე ქორდანია.

— ერთხელ, — იგონებს პატივცემული ელენე — ჩემთან მოვიდა ბიჭუნა და გაბრწყინებული თვალებით მეუბნება: იცი, დეიდა ელენე, სტუმრად ვიყავით სხვასთან, იქ რაღაცნაირი რბილი სკამი ჰქონდათ, რომ ჩავჯდებოდი, ვბუქნაობდი, ისეთი კარგი იყო... — ვიგრძენ, როგორ გაიხარებდნენ პატარები ბაღშიც რომ ჰქონოდათ ასეთი სავარძლები...

და მანამ არ მოისვენა დეიდა ელენემ, სანამ ეს წადილი არ შეუსრულა პატარას; რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც მოიტანეს ბაღში ფარჩაგადაკრული პატარა ლამაზი სავარძლები.

— უნდა გენახათ, როგორ მოეწონათ!

ვინ დათვლის რამდენმა ასეულმა ბავშვმა გაიარა ელენე ქორდანიას ხელში; ზოგი მათგანი მეცნიერების საიდუმლოებათა ამოხსნის კეთილშობილურ სამსახურში ჩადგა, ზოგმა ხელოვნება აირჩია ცხოვრების მიზნად, ზოგი აშენებს, მაგრამ ყველას ერთი რამ მაინც აქვს საერთო — ერისა და სამშობლოს უანგარო სიყვარული, რომელსაც პატარაობიდანვე უნერგავდა მათ დეიდა ელენე, სიკეთისა და სილამაზისაკენ სწრაფვა, რომელსაც აჩვევდა და ჩააგონებდა იგი. ყველა აღზრდილის გვარების ჩამოთვლაც კი ძნელია, მაგრამ ერთის შესახებ მაინც მოგახსენებთ:

... 3 წლის ჩუმი და წყნარი ბიჭუნა, მუდამ აბუზული იდგა ან გატრუნული დადიოდა. მის გონიერ თვალებში ყველაფრის ამოკითხვა შეიძლებოდა, რასაც გრძნობდა და განიცდიდა, თქმა კი არაფრისა შეეძლო. მუნჯიაო, ამბობდნენ.

დეიდა ელენემ ურჩია მამამისს თბილისში ჩაეყვანა ბავშვი ყურის განთქმულ სპეციალისტ ასპისოვთან.

ექიმმა ბიჭუნას სმენის აპარატში ვერავითარი ნაკლი ვერ აღმოაჩინა, ყველაფერი წესრიგზეაო. პირიქით, იწინასწარმეტყველა: ეს ბავშვი ან დიდი მუსიკოსი გამოვა ან დიდი მომღერალიო, არ ვიცით რა მონაცემებს ემყარებოდა პატივცემული პროფესორი, და შესაძლებელია თუ არა, საერთოდ, ასეთი წინასწარჭვრეტა, მაგრამ ერთი კია, მისი მისნობა გამართლდა: ბიჭუნა ბოლოს მართლაც სახელოვანი კომპოზიტორი დადგა და ახლა თბილისის კონსერვატორიას უდგას სათავეში. მიხვდით ალბათ, მკითხველო, ეს ბავშვი სულხან ცინცაძე გახლდათ!



... წლები გადიოდა. იცვლებოდა ყველაფერი. ბავშვები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, სკოლებს ამთავრებდნენ, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ხდებოდნენ, საკუთარ ოჯახებს ჰქმნიდნენ. შემდეგ მათი შვილები, ზოგიერთისა კი შვილიშვილებიც ისევ აქ მოდიოდნენ. საბავშვო ბაღმაც გამოიცვალა შენობა და მისამართი, ახლა საკონსერვო ქარხნის ბაღად იქცა: განახლდა ავეჯი, ახალი პედაგოგებიც მოვიდნენ, უცვლელი იყო მარტო ბაღის დირექტორი — ელენე ქორდანია.

ასე გრძელდებოდა თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე.

ახლა სულ სხვაა გორი, ვიდრე ორმოცდაორი წლის წინათ. იგი დიდი ქალაქია, განვითარებული მრეწველობითა და კულტურის კერებით, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებით, გაიზარდა საბავშვო ბაღებისა და ბაგების რიცხვიც. მარტო ბამბეულის კომბინატში, სადაც რამდენიმე ათასი ფეიქარი შრომობს, 3 საბავშვო დაწესებულებაა, მთლიანად ქალაქში და რაიონში 27 ბაგა და ბაღი მუშაობს.

ასე იმრავლა იმ ნერგმა, რომელიც თავისი ფაქიზი ხელით დარგო და გაზარდა ელენე ქორდანიამ.

1962 წლის გაზაფხულზე პენსიაში გავიდა ელენე ქორდანია, უკვე რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი.

აქედან იწყება ელენეს მეორე ცხოვრება. ეს მოხდა მაშინ, როცა მან თითქოს უკვე პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე. დაამთავრა თავისი მოღვაწეობა, როგორც პედაგოგმა და აღმზრდელმა, როგორც ოჯახის დედამ, რომელმაც ორი შვილი აღუზარდა სამშობლოს და თბილისში გადმოსახლდა. სახლში მაინც არ დადგა. მუშაობა დაიწყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატის ოთახში ინსპექტორად საზოგადოებრივ საწყისებზე, უანგაროდ და უსასყიდლოდ.

იგი შემთხვევით არ მოხვედრილა საქალაქო საბჭოში. მთელი 24 წლის განმავლობაში უცვლელად გორის საქალაქო საბჭოს წევრი თუ დეპუტატი იყო. და აი ახლა, თავისი მუშაობის მდიდარ გამოცდილებას ელენე უანგაროდ უზიარებს თბილისის საქალაქო საბჭოს ახალგაზრდა დეპუტატებს, რომლებიც მუდმივმოქმედ კომისიებში არიან გაერთიანებულნი. არა, ეს მეორე ცხოვრება კი არ არის, იმ დიდი აზრიანი, ღრმად შინაარსიანი ცხოვრების გაგრძელებაა, რომელსაც თაობათა აღსაზრდელად ხარჯავდა და ხარჯავს ელენე ქორდანია.

**ლამარა კარგარეთელი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# იმ შორეულ დღეებში...

მტრის თვითმფრინავები განუწყვეტლივ ბომბავდნენ ყირიმის ნახევარკუნძულს. ირგვლივ დენთისა და კვამლის ბოლი ტრიალებდა, გველივით წიოდნენ ტყვიები. ასეთ დროს სანგრებიდან ამოსვლა დიდ გამბედაობასა და მოხერხებულობას მოითხოვდა. დაჭრილთა კვნესა კი გულს უკლავდა სანიტარ ქალიშვილს. ვერ ისვენებდა. სანგრიდან სანგარში ხტებოდა და გადარჩენის იმედი მიჰქონდა დაჭრილ მეომრებთან, საიმედო ადგილზე გადაჰყავდა, საიდანაც მათ დიდ მიწაზე გზავნიდნენ.

დაღამდა. ირგვლივ ბინდი და სიჩუმე ჩამოწვა. სანგარში ჩაწოლილს, ძილი არ ეკარება, მებრძოლის შუქჩამქრალი თვალები და ხუჭუჭი თმა ელანდება. ყურში ჩაესმის მისი უკანასკნელი ამოძახილი — დედა! ამ ორიოდე თვის წინ ვერც კი წარმოიდგენდა ქალიშვილი თუ სიცოცხლის ასეთ სალეწზე მოუხდებოდა გავლა...

ფიქრებში გართული, თვითმფრინავების შორეულმა გუგუნმა გამოაფხიზლა. ღამის წყვდიადი ჯვარედინად გაჰკვეთეს პროჟექტორებმა. დაიქუხა საზენიტო არტილერიამ, სადღაც, შორს ბომბებიც ჩამოყარეს. კვლავ დაუარა დაჭრილებს, ზოგს მაჯა გაუსინჯა, ზოგს წამალი მისცა, შუბლზე ტილო დაადო...

9 დღე და ღამე ლუკმა პური არ უნახავს ჩვენს ნაწილებს. მტერი რკალად შემორტყმოდა და სურსათი ვერ შემოდიოდა. დღედაღამე ბრუნავდა სიკვდილის კალო.

ორი კვირა შეუსვენებლად იბრძოდა ნაწილი. ქერჩი ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთერთი მორიგი შეტევის დროს, სრულიად მოულოდნელად შეხვდა თავის დის მეუღლეს — შალვა ბურდიაშვილს. უცაბედმა სიხარულმა თითქოს ორივე დაამუნჯა. უსიტყვოდ ეხვევოდნენ ერთიმეორეს.

— აქ რამ მოგიყვანა, გოგო, შე გასაქრობო, შენა! — სიტყვებს ველარ პოულობდა შალვა. მან კი თითქოს მშობლიური სითბო იპოვა მის მკერდში.

მაგრამ დრო არ ითმენს: ტყვიამფრქვევთან ჩაჩოქილ დაჭრილს უნდა მიეშველოს, მისკენ გახოხდა. საავიაციო ბომბის შემზარავმა წივილმა სანგარში ჩააწვინა, წამიც და აფეთქების ხმამ თითქოს მკერდი მოგლიჯა, ზედ იმდენი მიწა მიეყარა, რომ ძლივს მოახერხა ამოსვლა. აღარსად ჩანდა ტყვიამფრქვევი, აღარც დაჭრილი. ბოლმა ყელში მოაწვა და ტირილი მოუნდა. უსაშველოდ დამძიმდა რუხი ფარაჯა...

ქერჩის მეორედ დატოვებისას, ძლივს მოახერხა დაჭრილების გამოცილება დიდი მიწისკენ. თავისთვის უკანასკნელი ტყვია შეინახა, მტერს ცოცხალი რომ არ ჩავარდნოდა ხელში. გათენებისას ნაპირს პატარა კატერი მოადგა, ცოტანი იყვნენ და ყველა დაიტია.

1943 წლის გაზაფხულზე № 825 ჰოსპიტალი, რომელშიც მსახურობდა თუში ქალიშვილი ბუბა (ანასტასია) ცისკარიშვილი, უკრაინის მეოთხე ფრონტზე გადაიყვანეს. ამ უბანზე მოქმედებდა № 18 არმია გენერალ-ლეიტენანტ ლესელიძის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ჯარების გამანადგურებელი დარტყმებით ძლეული მტერი უკან იხევდა.

ბრძოლით მიიწევდნენ წინ. კარპატების მთებში, მდინარის გადალახვისათვის ბრძოლის დროს, ნაპირზე დაჭრილი ჯარისკაცი შენიშნა, მაგრამ იქამდე მისვლა გაუჭირდა, გაღმა მხარეზე ჩასაფრებული მტრის სნაიპერი გასაქანს არ აძლევდა. ბევრი არ უფიქრია, შორიდან მოხლით მიხოხდა დაჭრილთან. გზა რომ გახსნოდა, ის სნაიპერი უნდა მოეშორებინა თავიდან. მიდამო კარგად დაზვერა და სნაიპერიც შენიშნა. დაჭრილი ჯარისკაცის ავტომატი ქალის ხელში აკაკანდა და მტრის უკანასკნელი საცეცხლე წერტილიც დადუმდა.

დაჭრილი ჩეხი ჯარისკაცი აღმოჩნდა, ბევრი სისხლი დაეკარგა და უგრძნობ მდგომარეობაში იყო. თუშმა ქალიშვილმა საკუთარი სისხლიც კი არ დაიშურა ჩეხი ჯარისკაცის გადარჩენისათვის...

მეტად გაძნელდა კარპატების გადალახვა. თუშეთის მთებში გაზრდილს, მთების სიყვარული ამხნევებდა. ახლაც ოცნებით საქისტოს მთაზე იდგა და კახეთის ბარაქიან ველსა და ალაზნის ჭალებს გადაჰყურებდა... მთების სიყვარულს თან დაატარებდა ალვანელი ქალიშვილი კარპატებში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში...

ჩეხოსლოვაკიაში მოუსწრო მას 1945 წლის 9 მაისმა. ომახიანად დაიქუხა დიქტორის ხმამ ჰოსპიტალის პალატებში:

— ომი დამთავრდა, გილოცავთ გამარჯვებას!

... ომის დამთავრების შემდეგ ბუბა ცისკარიშვილი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი გახდა და მუშაობა დაიწყო რაიონში.

1962 წელს ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც დღემდე მუშაობს.

ომგადახდილი ქალი, რომლის მკერდსაც ამშვენებს მედლები: „საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „სანიტარული სამსახურის ფრიადოსანი," მოცალების ჟამს საქისტოს მთას მიაშურებს, ქარაფზე გადადგება და მის თვალწინ კინოლენტივით ჩაიქროლებს განვლილი გზა, მერე თვალს მოავლებს ქვემოთ გაშლილ ოქროსფერ ველებს, ალაზნის ჭალებს, გოლიათ მთებს და ნაღველი გადაეყრება...

ზ. თურძოშვილი

# ისტორიული სახლი სამშობლოში



სამშობლო უცნაური ცნებაა. ბევრისთვის ეს ის ალაგია, სადაც შობილა, გაზრდილა და უსროლია ისარი, სად მამა-პაპა ეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი. ასეთი კაცი სიცოცხლესაც არ იშურებს სამშობლოსათვის და, შორს წასული, სიზმარში ხედავს მას. თუ დაბრუნების იმედი აღარა აქვს, სამშობლოს ერთ მუჭა მიწას ინახავს... ტკბილია და ლამაზი სამშობლოსათვის სიკვდილიო, — ამბობდნენ ძველ რომში.

ვინც ხშირად დადის უცხო ქვეყნებში, მან ყველაზე უკეთ იცის სამშობლოს ფასი. მისთვის სილამაზის საზომი სამშობლოა: თუკი რამ მოაგონებს სამშობლოს, სწორედ ის არის ლამაზი.

ერთი სიტყვით, სამშობლო-სამშობლოა, ერთადერთი და განუმეორებელი, როგორც დედა...

* * *

ჩემს წინ იდგა საშუალო ტანის შუახნის მოხდენილი ქალი. თავი ღირსეულად ეჭირა, ოდნავ მიღიმოდა და მუქ თვალებს არ მაშორებდა. დროგამოშვებით რაღაცას ეუბნებოდა თავის ენაზე თარჯიმანს და ისიც თარგმნიდა. ეს იყო ქალაქ ლაჰტის მერის მეუღლე — ქ-ნი ჰელნი კაიალა. მან თვითონვე ისურვა ჩემი გაცნობა.

ცოტა არ იყოს დავიბენი. ვიფიქრე, რა შეიძლება უნდოდეს-მეთქი. იმ დილით კონგრესი ოფიციალურად გაიხსნა. გახსნას ესწრებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი კეკონენი. ფინეთის განათლების მინისტრმა ჰოსიამ სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ ყველას მოეწონა ქალაქ ლაჰტის მერის ოლავი კაიალას სიტყვა. განათლებული ევროპული ტიპის ინტელიგენტი, მშვენიერი სახის პატრონი შუახნის კაცი კარგი ინგლისურით ლაპარაკობდა თავისი ქალაქის ინტერნაციონალურ ხასიათზე. ჩვენც ვიცოდით: ლაჰტი ახალგაზრდა ქალაქია, უმთავრესად კარელიის ყელიდან გადმოსული ფინელებით დასახლებული, სახელგანთქმული ფინური ავეჯის მრეწველობის ცენტრი.

და აი ახლა, უეცრად ლაჰტის მერის მეუღლეს მაინცდამაინც ჩემთან მოუნდა საუბარი.

დიდი სიამოვნებით-მეთქი, — მივუგე ფინეთის მთარგმნელთა საზოგადოების თავმჯდომარეს ჰამბერგს და გავყევი. ჰამბერგი ხალხით გავსებულ საბანკეტო დარბაზში გზას მიიკვლევდა. და ბოლოს მიმიყვანა ქ-ნ კაიალასთან. დიახ, ჩემს წინ იდგა საშუალო ტანის შავგვრემანი ქალი და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვამდა წინადადებებს ჩემთვის სრულიად გაუგებარ ფინურ ენაზე. ჰამბერგის მეუღლე მითარგმნიდა:

— ქ-ნი კაიალა მოხარულია, რომ ხედავს თავის თანამემამულეს.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა.

— განა იცის, რომ მე ქართველი ვარ? საიდან, როგორ?

მე ვიცოდი, რომ უცხოეთის ანკეტებში ეროვნება ქვეყნის მოქალაქეობას ნიშნავს და იქ არსად არ იწერება სიტყვა „ქართველი".

— დიახ, იცის და უნდა, თქვენც იცოდეთ, რომ ისიც ქართველია!

დაკვირვებით დავუწყე თვალიერება. თანაც ვცდილობდი ზრდილობის ფარგლებში დავტეულიყავი. მართლაც ეს ქალი ფინელს არა ჰგავს. მე ფინელის მხოლოდ ორი ტიპი ვიცი: ერთი, რომელსაც ვერც კი გაარჩევთ ცენტრალური და ჩრდილოეთ რუსეთის მცხოვრებში, ხოლო მეორე — ტევტონური ტიპი, ოვალური სახით და სწორი ნაკვთებით. ორივე ეს ტიპი ჩვეულებრივ ქერათმიანია. ეს კი შავგვრემანია, ოდნავ კეხიანი ცხვირით, მუქი თაფლისფერი თვალებით. მართლაც ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კახეთის მკვიდრს, ოღონდ უცხოეთს თავისი დაღი დაუსვამს მისი მიხვრა-მოხვრისთვის. დავუწყე გამოკითხვა, მაგრამ ბევრი ვერაფერი შევიტყვე, რადგან თვითონაც არ იცოდა ბევრი არაფერი. მამა ქართველი ჰყოლია, საიდანღაც გადმოხვეწილი ამ მხარეში, მაგრამ ბავშვობაშივე დაობლებულა და ფინელი გამხდარა. ეს იყო და ეს.

უეცრად მომაგონდა, რომ ჯიბეში მედო „ვეფხისტყაოსნის" პატარა საიუბილეო გამოცემა. ამოვიღე და მივართვი, თანაც განვმარტე, ისტორიულ საქართველოში გათხოვილ ქალს მზითევში „ვეფხისტყაოსანს" ატანდნენ-მეთქი. მეც ჩემი ხალხის სახელით გადავეცი ეს მზითვი ფინეთში გათხოვილ ქართველ ქალს.

ერთმანეთის ენა არ გვესმოდა და საუბარი გაძნელდა. მარტო მრავალმნიშვნელოვანი გამოხედვით ბევრი არაფრის თქმა შეიძლებოდა. დარბაზობაც მიწურული იყო და ქ-ნ კაიალას გამოვეთხოვე. საქართველოში მოპატიჟებაც არ დამვიწყებია.

სამი დღის შემდეგ მორიგ დარბაზობაზე (რომელსაც ხანდახან დღეში სამჯერ გვიმართავდნენ, სხვადასხვა ადგილას), ქ-ნმა კაიალამ შინ მიმიპატიჟა. მე ჩემი თანმხლები საბჭოთა დელეგაციის წევრებიც გავიყოლიე და ფინეთიდან წამოსვლის წინა დღეს ყავაზე ვესტუმრეთ ქ-ნ კაიალას. ორიოდე საათი დავყავით მის გემოვნებით და სადად მოწყობილ ბინაში. ჩვენთან იყო ჰამბერგიც თავისი ახალგაზრდა მეუღლითურთ. დიასახლისი გულუხვობას იჩენდა, მაგრამ საერთო ენის უცოდინარობა ძალიან გვიშლიდა ხელს. ისევ ვცადე, ცოტა რამ კიდევ გამეგო ჩემი თანამემამულის ცხოვრებისა, მაგრამ ამაოდ. მისი მეუღლე შინ არ იყო. წინა საღამოს დარბაზობაზე ერთმანეთის პირისპირ ვისხედით და ბ-ნი კაიალა ბევრს მეკითხებოდა საქართველოზე. სოჭში ვაპირებ ჩამოსვლასო, ამბობდა. გული აწუხებდა და ისიც იცოდა, რომ ფინეთის პრეზიდენტი ურხო კეკონენი რამდენჯერმე ყოფილა აქ დასასვენებლად.

ქ-ნ კაიალას გამოვეთხოვეთ. დავუტოვე ქართული სუვენირები. თვითონაც სამაგიერო სახსოვარი გამოგვატანა. მეორე დღეს სამშობლოში დავბრუნდით.

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ჩვენი ურთიერთობა. საახალწლო მილოცვას ორიოდე ბარათი მოჰყვა. გაზაფხულზე ჩემი ნაცნობი ფინელი მწერალი ოლავი ლინუსი მესტუმრა და სამწუხარო ამბავი მაცნობა: ცოლ-ქმარი კანარის კუნძულებზე წასულან დასასვენებლად. ოკეანეში ცურვის დროს დიდი ღელვა ამტყდარა. ატლანტის ოკეანე აქ უსასრულოდაა გაშლილი და მისმა მრისხანებამ საზღვარი არ იცის. ქმარი დამხრჩვალა, ცოლი კი ძლივს გადაურჩენიათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ-ნ კაიალს სამძიმარი შევუთვალე და კვლავ მოვიპატიჟე საქართველოში. პასუხი დაგვიანებით მივიღე. ქ-ნი კაიალა ამჯერად უფრო დაწვრილებით იწერებოდა თავის ამბავს:

„დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი გულითადი წერილისათვის. ცხოვრებაში ხშირად ხდება მოულოდნელი ამბები და მართლაც საკვირველია, რომ ცოცხალი ვარ. მე გადამარჩინეს იმიტომ, რომ ტალღებთან ბრძოლის ძალა აღმომაჩნდა.

თავდაპირველად ძალზე გამიჭირდა, ახლა კი ცოტა უკეთესად ვარ. ახალ ბინაში გადავედი და მარტო ვცხოვრობ. ისიც ქალაქის შუაგულშია, იმავე ქუჩაზე, სადაც ადრე ვცხოვრობდით და ამდენი საქმე მქონდა მოსაწესრიგებელი. ჩემი ცხოვრება უფრო წყნარი გახდა, რადგან წარმომადგენლობითი მოვალეობანი აღარ მაკისრია. ცოტა მარტოობას ვგრძნობ, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ ამ ქვეყანაზე ბევრია ისეთი, ვინც ჩემზე უფრო მეტად განიცდის მარტოობას.

ეს ზაფხული უმთავრესად ჩემს მამინაცვალთან გავატარე. მას მალე შეუსრულდება 90 წელი. ხუთი წლის ასაკიდან მასთან ვიზრდებოდი და ბავშვობიდან უთქვამთ, რომ ჩემი ნამდვილი მამა კავკასიიდან ჩამოსულა თავის ორ ძმასთან ერთად რევოლუციის დროს. ერთი მათგანი გარდაიცვალა, ხოლო მეორე შვეციაში წავიდა. მამაჩემი კი ფინეთში დარჩა. მან რამდენჯერმე მინახულა კიდეც, როდესაც პატარა ვიყავი, მაგრამ მისი ენა არ მესმოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც გარდაიცვალა და მე ფინელი გავხდი. მაგრამ მე მუდამ მქონდა მისწრაფება — მენახა მამაჩემის ქვეყანა. ახლა ძალიან მინდა ჩამოსვლა და მისი ნახვა და ამიტომ მინდა გკითხოთ, ოქტომბერში თუ თბილსა? იქნებ გაზაფხულზე ან ზაფხულში სჯობდეს ჩამოსვლა? მე მინდა ჩემს ვაჟიშვილთან ერთად ერთი კვირით ჩავიდე სოჭში და იქნებ მარჩენოთ თბილისი, თუ შევძელი სოჭიდან თბილისში ჩამოსვლა...

ეს ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებაა, მაგრამ ვიმედოვნებ ერთ დღეს სინამდვილედ იქცეს. ზოგი რამ წამიკითხავს საქართველოს შესახებ და მჯერა, რომ ის ძალიან ლამაზია და ხალხიც ძალიან კეთილი. მე მინდა ჩემ შვილსაც ვაჩვენო ის...

მინდა ჩვენთანაც ჩამოხვიდეთ სტუმრად ფინეთში. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება აქ!

საუკეთესო სურვილებით
ჰელნი".

პასუხი არ დამიყოვნებია. ჩემს პასუხს ჯერ ჰელნის წერილი მოყვა ფინეთიდან, წამოსვლის ცნობით. შემდეგ დეპეშამ მაცნობა, რომ ჰელნი სოჭიდან აპირებდა თბილისში ჩამოფრენას. დავიწყე მზადება სტუმრის მისაღებად, მაგრამ... ჰელნი და მისი ვაჟიშვილი კარლო ჩამოვიდნენ მხოლოდ ერთი დღით — ჩამოფრინდნენ 25 ოქტომბერს დილით და გაფრინდნენ მეორე დილას. ისინი დაბმული აღმოჩნდნენ ტურისტული ჯგუფის მარშრუტით და მხოლოდ ერთი დღით მოახერხეს თავის გამოხსნა!

გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა! ერთ დღეში მათ დაათვალიერეს თბილისი, მცხეთა და ჯვარი. საღამოს შინ მოვიპატიჟე, და ორიოდე მეგობარსაც დავუძახე, ვინც ჩემს შემდეგ შეხვდნენ ჰელნის ფინეთში. ესენი იყვნენ ჩემი ცოლის მეგობრები ფატი თურქია და ტუსა დიასამიძე. ქართველ ტურისტთა ჯგუფის მოგზაურობისას ფინეთში ჰელნის ეს ჯგუფიც უპოვნია და გაუგებინებია თავისი ვინაობა. მოსაკითხიც გამოუგზავნია ჩემთვის.

ჰელნი ცოტას ლაპარაკობდა. ყველას აკვირდებოდა ხანგრძლივი და დაფიქრებული მზერით. ლაპარაკობდა ფინურად და მისი შვილი კარლო დამტვრეული ინგლისურრუსულით გვაგებინებდა ნათქვამს. თვითონ კარლო მხიარულად შეექცეოდა ქართულ სასმელებს. ერთი ორჯერ დედამისმა შეუბღვირა კიდეც, ბევრს ნუ სვამო. ფინურს გარდა ჰელნიმ ცოტა გერმანულიც იცოდა. ჩემი უფროსი ვაჟიშვილი რაღაცას აგებინებდა ამ ენაზე, რადგან ჰელნიმ არ იცოდა არც ინგლისური და არც ფრანგული. ჩვენი ურთიერთობა ცოტა პანტომიმას წააგავდა და ამიტომ უპირატესად რაღაც უცნაურ შინაგან ურთიერთგაგებას ემყარებოდა. შეიძლება ეს იყო რაღაც გაურკვეველი მშობლიური გრძნობა.

კარლო გვიამბობდა თავისი ცხოვრების ამბავს. ის ჰელსინკის უნივერსიტეტის უფროსი კურსის სტუდენტია. ფარმაცევტიკას სწავლობს. დანიშნულიც ჰყავს და უნივერსიტეტის დამთავრებისას ცოლად თხოვას უპირებს. ჰელნი მარტო ცხოვრობს ლაპტიში. მზად არის კიდევ ჩამოვიდეს საქართველოში, როცა შესძლებს, და მანამდე კი თვითონ გვეპატიჟება ფინეთში სტუმრად.

ოცდაოთხი საათი სამშობლოში, სულ რაღაც ოცდაოთხი საათი! ღირდა ამისათვის ამოდენა სივრცის გადმოლახვა, ამოდენა ხარჯის გაღება? ჰელნის ალბათ ეღირდა.

სამშობლოს გრძნობა... რა არის ეს, ატავიზმი? რა მოუწოდებდა ამ ქალს საქართველოსაკენ, რომელიც მას თვალითაც არ უნახავს. შორეულ ჩრდილოეთში დაბადებულს და ყინვაში გამოწრთობილს, რა იზიდავდა მცხუნვარე სამხრეთის ქვეყანაში?

სამშობლოს გრძნობა... ალბათ ეს არის ის უმძიმესი განცდა, რომელსაც შეუძლია სიცოცხლეც გააწირვინოს ადამიანს. შეიძლება ეს არის ადგილის გრძნობა. სამშობლო ალბათ ის ქუჩაა, რომელზეც შენს მშობელს გაუვლია, ის კედელი, რომელიც მას აუშენებია, ხე, რომელიც მას დაურგავს, ბაღახი, რომელიც მას გაუთელია, და შენც ხომ მისი ნაწილაკი ხარ...

არ ვიცი, იგრძნო თუ არა ყოველივე ეს ქართველმა ქალმა ჰელნი კაიალამ იმ ოცდაოთხ საათში.

ზიზი ბაჩიჩილაძე



# იმა ჭვლოს...

მანქანა ჯერ ქაქანით შეება აღმართს, მერე გაივაკა და აიწყვიტა. გზის მარცხნივ, სადღაც უფსკრულში ფაფარაყრილი ცხენისწყალი ღრიალით აწყდება ლოდებს. მარჯვნივ მთები: ლურჯი, მუქლურჯი, მწვანე, მუქმწვანე, წერწეტა ნაძვნარით დაფარული მთები, თვალწარმტაცი ჩანჩქერები, ნაკადულები, მოქარგულ ალპიურ მინდვრებზე მოლაღანე ნარინჯისფერი ყაყაჩოები, როდოდენდრონები.

მიქრის მანქანა და უკან რჩება ცადაზიდული კოშკები. ზღაპრული სილამაზით დატყვევებულს, სიზმარში მგონია თავი, არ მინდა გათავდეს გზა, არ მინდა დასრულდეს სიზმარი...

მანქანამ მოედანს შემოუარა, დადგა და...

ნალისის, გოლდაშის, სვიმერის, დევაშის სერებს თითქოს გულში ჩაუკრავთ გაჩახჩახებული ლენტეხი.

ორმოცდაშვიდი წლის წინათ ეს ადგილი თურმე თხმელებით ყოფილა დაფარული. ერთი წისქვილი ხრიალებდა და მიშველიანების ექვსი ოჯახი ბუდობდა მხოლოდ. მგლების შიშით მაჩუბებში შეკეტილი ქალები კვარის შუქზე ქსოვდნენ ჩოხებს, თელავდნენ ქუდებს და მარილზე წასული მამაკაცების შინ მშვიდობით დაბრუნებას შესთხოვდნენ უფალს...

ორმოცდაშვიდი წლის წინათ, როცა თავისუფლების შუქი შეიჭრა მაჩუბებში, საქართველოს ყველა კუთხიდან სვანეთისაკენ დაიძრნენ მამაცი ადამიანები, წერაქვებით, ნიჩბებითა და ბარებით. ნაღმის აფეთქების ხმაზე დრტვინავდნენ მთები, ზათქით ეშვებოდნენ კლდეები...

1936 წელს ქვემო სვანეთს ეწვია დიდი სიხარული: ქუთაისიდან ლენტეხამდე ლარივით გაჭიმულ გზაზე პირველად ამოიქროლა ავტომანქანების კოლონამ.

„რაიონის ცენტრი აქ უნდა იყოსო" — თქვეს და კუნთმაგარი სვანები შეეჭიდნენ საქმეს. ჯერ პატარა ელექტროსადგური ააგეს, მერე 50-საწოლიანი საავადმყოფო, სასტუმრო, კულტურის სახლი, უნივერსალური მაღაზიები, კეთილმოწყობილი რესტორნები, საშუალო სკოლა, ორწლიანი საფერშლო ტექნიკუმი. ქუჩის ნაპირზე ჩამწკრივდნენ ორსართულიანი ქვითკირის სახლები.

— საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენს რაიონში მხოლოდ ორი დაწყებითი სკოლა იყო. ახლა კი 31 დაწყებითი, 6 საშუალო, 4 საღამოს, 6 რვაწლიანი და 1 მუსიკალური სკოლაა, — მეუბნება ბიბლიოთეკის გამგე ნათელა ხაბულიანი.

— რაიონის სოფლები მთლიანად რადიოფიცირებული და ელექტროფიცირებულია, — ამბობს ინჟინერი ზურაბ ჩომახიძე.

ეს ჯმუხი ვაჟკაცი თვითონ ედგა სათავეში ამ კეთილ საქმეს და რა თქმა უნდა, უხარია, რომ კომუნიზმის მშენებლობას ერთი აგური მანაც მიუმატა.

— რაიონის მშრომელთა მონაწილეობით ნალისის მთაზე სატელევიზიო კოშკს ვაშენებთო, — მითხრა მძღოლმა შალვა ლიპარტელიანმა.

— თუ ამინდმა ხელი არ შეგვიშალა, მოკლე დროში აიგება სატელევიზიო კოშკი. ახლახან ხილის წვენების ქარხანა ავაგეთ, მალე გვექნება პარკეტის ქარხანა. არც თუ ისე დიდი ხანია საფუძველი ჩაეყარა მარმარილოს წარმოებას, იგი თანდათან გაფართოვდება, რადგან ტყიბში მარმარილოს მთებია, ხოლო სოფელი მუწჰი თურმე მარმარილოს საბადოებზე ყოფილა გაშენებული, — მითხრა მოსამართლე ოლია უშხვანმა.

ფერდობზე შეფენილა სოფელი მუწდი. მაჩუბები ქვითკირის სახლებს შეუცვლიათ, ფართო აივანზე გადმომდგარან ტანკენარი ქალიშვილები.

ორღობეში ზურგჩანთიანი ვაჟი გამოჩნდა.

— ოო, მიტო, ვისი წერილი მოიტანე? — ეძახიან გოგონები და კისრისტეხით გარბიან მისკენ. ვაჟის მოსხეპილმა ტანმა და მოქნილობამ ჩემი ყურადღება მიიპყრო.

— იმა გეზალხი?[1] — ვეკითხები.

— ჯამბურიძე არტემის ვარ, — მორცხვად მპასუხობს ვაჟი.

მამისეულ არტემ ჯამბურიძეს 12 შვილი ჰყოლია, თორმეტივე ერთმანეთზე უკეთესი.

— სვანეთში ბევრი მრავალშვილიანი დედა გვყავს. წინათ თუ მშობიარე ქალს ცალკე ბოსელში შეაგდებდნენ და არც ექიმი იყო და არც წამალი, ახლა ქვემო სვანეთის ყველა სოფელშია საფერშლო-საბებიო პუნქტი. კვირაში ერთხელ რაიონის ცენტრიდან ამოდიან დახელოვნებული გინეკოლოგები და ლექციებს უტარებენ ქალებს. ხელისუფლება ყოველმხრივ ეხმარება დედებს. არტემ ჯამბურიძის ოჯახმა ერთდროული დახმარების სახით 250 მანეთი მიიღო.

გადავწყვიტე ამ ოჯახის დედა მენახა.

[1] ვისი შვილი ხარ?

[2] მაჩუბი — ძველი სვანური უხარკმლო სახლი.

პიშკართან პატარა გოგონათი ხელში ისევ მიტო შემოგვეგება. სახლში შეგვიპატიჟა. აკვანში ჩაკრული ბიჭი თვალებს აბრიალებდა. ოქროსკულულებიანმა გოგო-ბიჭებმა საქმეს თავი ანებეს და ცნობისმოყვარე



თვალებით მოგვაჩერდნენ. დედა შინ არ იყო. მალე ისიც მოვიდა, სათიბში ყოფილიყო.

გულითადი საუბარი გაიბა.

14 წლის იყო ვასა, როცა არტემმა თვალი დაადგა. ორჯერ გაუგზავნა მოციქულები ქალიშვილის მშობლებს, ორივეჯერ ცივი უარი მიიღო, მაინც იძალა არტემმა და თავისი გაიტანა. დიასახლისის ხელი ეტყო ოჯახს. მაჩუბში[2] ახლა ვინ ცხოვრობსო, — თქვა ვასამ და თვითონ გაუძღვა ქმარს ტყეში მასალის მოსაჭრელად. ვეებერთელა მორებს ვაჟკაცივით მოიგდებდა ზურგზე და ტყიდან ეზიდებოდა. სახლის საძირკველი ჰქონდა ჩაყრილი, რომ გრიშა ჩააკრა აკვანში. მერე — მიშა, მიტუშა, გოგუცა, ციცია, ქორა, ელგუჯა, მანია, რევაზი, იური, თინა. მერვე ვაჟის, ნაბოლარა მინდიას გაჩენამ ყველა სიხარულს გადააჭარბა. პირველ წლებში, რა თქმა უნდა, ძალიან უჭირდა წვრილშვილის დედას, მერე, როცა უფროსები წამოიზარდნენ, დედას შრომა შეუმსუბუქდა. ბავშვები თვითონვე უვლიან ერთმანეთს, ერთმანეთი უყვართ. უმცროსები უფროსებს უჯერებენ.—სვანებს ხომ სისხლში აქვთ უფროსების პატივისცემა. უფროსი ძმის გრიშას სიტყვა კანონია ყველასათვის.

გრიშამ გასულ წელს თბილისში კულტსაგანმანათლებლო სკოლა დაამთავრა. ახლა იგი სოფელ ხოფურის კულტურის სახლში მუშაობს, მიშა საბჭოთა არმიის რიგებშია. შვიდი ქალ-ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლობენ და ოჯახსაც უვლიან. იურის და თინას მინდიას მოვლა აქვთ მინდობილი.

საღამოობით, როცა შრომით მოღლილი ვასა და არტემი ყანიდან შინ ბრუნდებიან, ქალიშვილები პიშტარითა და კუბდარებით დატვირთულ სუფრას შეაგებებენ მშობლებს. ასაკის მიხედვით დასხდებიან სუფრასთან. ყველაზე კარგ ნაჭრებს შვილები მშობლებს სთავაზობენ, მშობლები — შვილებს.

ყოველ საღამოს ლხინია ჯამბურიძეების ოჯახში.

...სოფლის ბოლომდე მიმაცილა მათმა წკრიალა სიმღერის ხმებმა.

შთაბეჭდილებებით დატვირთული მივუყვებოდი გზას. ვფიქრობდი: ამ ბედნიერ ოჯახში დაიზრდებიან, დაოჯახდებიან, მერე თითოეულ ოჯახში 12 შვილი გაჩნდება, იმ სოფელში ვერ დაეტევიან, გაშენდება ახალი სოფელი და იმ სოფელს ჯამბურიძეების სოფელი ერქმევა..

ოლია რაზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პოეზიის კუთხე

მანანა აბრამიშვილი

## გარეთ ზამთარია

ქალაქში ზამთარი ჩაივლის უთოვლოდ
და მოგონებები სოფელსა წვდებიან —
თეთრად შეიფუთნენ ალბათ ხართუთები
და ხატაურები ბუხართან თბებიან.

კრუხი წიწილებით ოთახში ნებივრობს
და ყოველ კუნჭულში ცოცხალი ხმებია —
თინა და მაია, ნინო და ქეთინო
ეჭიკჭიკებიან საყვარელ ბებიას.

„— ბები, გელოდებით, როგორ გვენატრები!"
დიდი ასოებით შორიდან უთვლიან.
შვილიშვილებისთვის დათქმული ჯაგნები
ბებიას სანთლებად კედლებზე უნთია.

საღამოს, დაღლილი ჯაფით და წვალებით,
მობუზულ ჩიტივით ბუხართან ისვენებს.
ბებიას ჭრელი და ლამაზი თვალები
იტევენ რამდენი კაეშნის სისველეს.

ოთახში ბუხრის თუ ბურუსის ბოლია,
ზის ცეცხლთან ბებია, შავებში ჩაცმული,
ხარკმელზე დარეკავს ყინულის ლოლუა,
თითქოს წამოდგება ჟამი დანაცრული —

შემოდის ფარფატით ბებიას აპრილი,
ცისფერი კაბებით, დაირის ჟრიალით,
გარეთ ზამთართა სიჩუმედ დაღვრილი,
ბუხარში—ნაღვლიან ქარების შრიალი.

გარეთ ზამთარია და თეთრი ფშატები,
დათოვლილ მაყვალზე წრიპინებს ნიბლია,
ქალაქში ბავშვები ბებიას ნატრობენ,
დღეებს საახალწლოს თითებზე ითვლიან...

ლალი ჯაფარაშვილი.

* * *

კეთილმა სულმა ასე ისურვა,
მაცილა ქარი ქარიშხლიანი.
და დამასიზმრა ნახერხის სუნი
და ბურბუშელას თბილი შრიალი.
და მშვიდი ფშვინვა ნიშა ხარისა,
კამკამა ჭავლის რბილი რიალი...
კეთილმა სულმა მიმითავისა,
მაცილა ქარი ქარიშხლიანი.

## ღ ე ღ ე

ადიდდა და გადიდგულდა ღელე,
შეერია ბოსტანსა და ბაღს,
რაღაც ახალ სიმღერასაც მღერის,
რაღაც ისე ნათელსა და კარგს...
ადიდდა და აღარც ეთქმის ღელე,
ადიდდა და მდინარესა ჰგავს!

ნოდარ ადეიშვილი

* * *

დღეებს, რომელსაც ასე მოველი,
აქვს სიჭაბუკის ფერი და გემო,
ჩემი საუფლო და სამყოფელი
მერე იკითხე, ძვირფასო ჩემო!

სივრცეს დაარხევს, როგორც მაყრული,
აპრილის სუნთქვა, ყვავილი ნუშის,
და გაფეთქილი დღე გაზაფხულის
ხარირემივით იყვირებს სულში.

* * *

მოვედი ისევ, მაგრამ არ ვუსტვენ,
არ გეხსომები, ვიცი, და რისთვის....
უბერავს ქარი და თეთრ მავთულზე
შენი ფერადი კაბები იწვის.

უბერავს ქარი და გრძელ აივანს
ავსებს მიწის და ბალახის სუნი...
მე თითქოს დღესაც შენი ვალი მაქვს,
და ვალში მიგაქვს ლექსი და სული.

* * *

ყველაფერს, რაიც იმედით მავსებს,
რაც ძვირფას განძად შემორჩა ხსოვნას,
მოყოლებული იმ დღიდან ასე
შენი თვალებით ვწონი და ვზომავ.
ყველა სიხარულს შენს ფიქრებს ვაქსოვ,
ყველა სურვილს და ყველა მოლოდინს.
შენა ხარ ჩემთან
და არც კი მახსოვს,
უშენოდ ქვეყნად როდის ვცხოვრობდი.

ზურაბ კუხიანიძე

## დ ე დ ე ბ ი

შინმოუსვლელო ჯარისკაცებო,
თუმც არ დამცხრალა თქვენზე დარდები —
აღარ გტირიან,
რა გჭირთ საცრემლო,
სულ სიმღერებში განავარდებენ.

დიდიხანია მიწას იარა
ამოუკერა თბილმა ხნულებმა...
ბევრმა ღრუბელმა გადაიარა
და ხალხში დარჩით უკვდავ თქმულებად.

დამალულ გუმანს ვარჩევ გამხელილს,
და გეტყვით, როგორც მხედარს მხედარი
გამოუხუნდათ მამებს თალხები
და ხშირად სიზმრად აღარ გხედავენ.

აღარ გელიან ლამაზმანები,
ტკბილი უთქვენოდ მაჭრიანდება...
მაგრამ გაურბით დედებს თვალები,
როცა ჭიშკარი აჭრიალდება.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## ბოსტნეული მარგებელია

ექიმებს ხშირად გვეკითხებიან: რა სარგებლობა მოაქვს ბოსტნეულს?

უპირველეს ყოვლისა, ბოსტნეული აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, აღვიძებს მადას, აძლიერებს კუჭის, კუჭსუკანა სანერწყვე ჯირკვლების, ღვიძლის მოქმედებას, ადიდებს საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფას, რაც უზრუნველყოფს საჭმლის ინტენსიურ ქიმიურ დამუშავებას, ამაღლებს ბოსტნეულთან ერთად მიღებული ხორცის, თევზის, პურის, ცხიმების, სხვადასხვა ფაფეულისა და მაკარონის ნაწარმის შეთვისების უნარს.

ბოსტნეულის უჯრედისი ორგანიზმს ეხმარება ქოლესტერინის გამოდევნაში. უჯრედისით განსაკუთრებით მდიდარია ჭარხალი, კომბოსტო, სტაფილო, კიტრი, მწვანე ცერცველა, ლობიო. ეს ბოსტნეული უნდა ვიხმაროთ სამკურნალოდ ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, ყაბზობის დროს; ნაწლავებში ანთებადი პროცესის დროს კი უმჯობესია ისეთი ბოსტნეული შევარჩიოთ, რომელიც ნაკლებად შეიცავს უჯრედისს — ყაბაყი, პამიდორი, სალათი, კარტოფილი და ბოსტნეულის წვენები.

მთრიმლავი ნივთიერებები, რომლებიც ძირითადად ბადრიჯანში, ბოლოკში, გოგრასა და ჭარხალშია, შთანთქავს და ნაწლავებიდან დევნის წყალს, ბაქტერიებს, შხამებს.

მიკრობსაწინააღმდეგო თვისება გააჩნია ნიორს, ხახვს, ბოლოკს.

ბოსტნეული — კარტოფილი, ლობიო, ცერცველა, ოხრახუში, ისპანახი, თალგამი, ბადრიჯანი — ორგანიზმს ეხმარება ზედმეტი სითხისა და ნატრიუმის მარილების გამოყოფაში, რაც ძალიან საჭიროა შეშუპების, თირკმლებისა და გულის დაავადების დროს. კარგი შარდმდენია საზამთრო და გოგრა.

სისხლის წარმოქმნის პროცესებისთვის პარკოსანი მარცვლეული და ბოსტნეული

გვაწვდის რკინას (ლობიო, ცერცველ . ობრახუში, ისპანახი), სპილენძს და მარგანეცს (ფოთლოვანი ბოსტნეული . და პარკოსანი მარცვლეული).

ღირსშესანიშნავია პარკოსან მარცვლეულთა სკლეროზსაწინააღმდეგო თვისებებიც. მაგრამ პარკოსანი მარცვლეულით გატაცება მავნებელია პადაგრის დროს. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია კარტოფილი, სტაფილო, კომბოსტო, პამიდორი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ პამიდორი „რეაბილიტირებულია“. აქამდე არსებული აზრი, პამიდორი შეიცავს ბევრ მჟაუნმჟავას და ამიტომ მისი მიღება ღვიძლისა და თირკმლების დაავადების დროს არ შეიძლებაო, მცდარია. პამიდორი იმდენ კალიუმის მარილებსა და ვიტამინებს შეიცავს, რომ შეიძლება ვიხმაროთ ნივთიერებათა ცვლის დარღვევებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს.

ბოსტნეულის „დამსახურებათა სიას“ უნდა მივუმატოთ კიდევ ერთი ძალიან საპატიო თვისება: ვიტამინები. ვიტამინ C-სთან ერთად ბოსტნეულში აღმოჩენილია შეღწევადობის ვიტამინი — P. ვიტამინი P აწესრიგებს წვრილ სისხლძარღვოვანთა კედლების ნორმალურ მდგომარეობას. ვიტამინ P-ს შემცველობით პირველობა ეკუთვნის ჯერ წითელ პილპილს, მერე — სალათს, ისპანახს, ოხრახუშის ფოჩს, პამიდორს, კომბოსტოს.

წითლად, ნარინჯისფრად და ყვითლად შეფერილი ბოსტნეული — სტაფილო, წითელი პილპილი, პამიდორი, გოგრა — შეიცავს კაროტინს, რომლისგანაც ჩვენს ორგანიზმში წარმოიქმნება ვიტამინი A. ვიტამინი A კი აუცილებელია ზრდისათვის, მხედველობის, სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსისა და მთელ რიგ სხვა ორგანოთა ნორმალური მდგომარეობისათვის, კაროტინის საკმაოდ დიდ რაოდენობას შეიცავს, აგრეთვე, მწვანე ხახვი.

ვიტამინი U, რომელსაც კომბოსტოს წვენი შეიცავს, სამკურნალო გავლენას ახდენს წყლულოვანი დაავადების დროს, მაგრამ კომბოსტოსაგან დამზადებული კერძი წვენის გაძლიერებულ გამოყოფას იწვევს და ამიტომ მის მიღებას არ გირჩევთ.

ვიტამინების განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ახალი ბოსტნეული, მაგრამ არ დაივიწყოთ: რამდენი ვიტამინიც არ უნდა იყოს საჭმელში, იგი „მარაგად“ მაინც არ გროვდება, ვიტამინების მიღება საჭიროა ყოველდღიურად.

გაითვალისწინეთ კიდევ ერთი რამ: უმი ბოსტნეული შეიცავს ისეთ მჟავას, რომელიც ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნას, (ეს — მსუქანი ქალების საყურადღებოდ!).

ბოსტნეულში ბევრი სხვა სასარგებლო ნივთიერებაცაა — სახამებელი, შაქარი. ცილები, ორგანული მჟავები, რომლებიც საჭმელს არომატს და გემოს აძლევენ.

**ოლღა შვეცოვა,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ცხელი ჩაი



ჩაის მოსამზადებლად უნდა იხმაროთ მხოლოდ ახლად ადუღებული წყალი. დაუშვებელია ჩაის დაყენება წინასწარ ადუღებულ და შემდეგ გაცხელებულ წყალზე. არ შეიძლება აგრეთვე დაყენებული ჩაის გაცხელება ან წამოდუღება.

სუფრაზე მიტანილი ჩაი უნდა იყოს გამჭვირვალე, არომატული და სასიამოვნო გემოსი. ასეთი ჩაი რომ მივიღოთ, ზუსტად უნდა დავიცვათ მისი მომზადების წესი.

ჩაის აყენებენ კერამიკის, ქაშანურის ან ფაიფურის ჩაიდანში (ლითონის ჩაიდანი მას თავისებურ გემოს აძლევს).

კარგად გარეცხილ და გაცხელებულ ჩაიდანს გამოავლეთ მდუღარე წყალი, ჩაყარეთ შიგ ხმელი ჩაის (0,75-1 გრამამდე ერთ ჩაის ჭიქაზე), ჩაასხით ერთ მესამედზე მდუღარე წყალი, დაახურეთ ჩაის ტილო (სითბოს შესანარჩუნებლად) და გააჩერეთ 5-10 წუთი. შემდეგ ჩაიდანი შეავსეთ მდუღარე წყლით, მოურიეთ და 2-3 წუთის შემდეგ იგი მზადაა. ასეთი წესით მომზადებული ჩაის ნაყენი ჩაასხით ჩაის ჭიქებში ან ფინჯნებში და შეავსეთ ახალი მდუღარე წყლით.

ცხელი ჩაი სუფრაზე მიიტანება შაქრით, სხვადასხვა მურაბით, რძითა და ნაღებით, ლიმონით, თაფლით და სხვა. რძე და ნაღები სარძევეთი მიიტანება, მურაბები — ლარნაკებით, შაქარი — საშაქრეთი. ლიმონი კარგად უნდა გაირეცხოს, გამშრალდეს, მერე გადაევლოს მდუღარე წყალი (ასე ლიმონი მეტ სურნელებას გამოყოფს) და დაიჭრას თხელ ნაჭრებად.

### ჩაი წითელი ღვინით

ორმოცდაათი გრამი სუფრის წითელი ღვინო გააცხელეთ, გახსენით შიგ ერთი სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, ჩაყარეთ მიხაკ-დარიჩინი (გემოვნებით) და ადუღეთ 2-3 წუთი. შემდეგ გაწურეთ, ჩაასხით ჩაის ჭიქა ცხელ მუქ ჩაიში და მიირთვით.

### ცივი ჩაი

მოამზადეთ მუქი ჩაი, გაწურეთ, გახსენით შიგ შაქრის ფხვნილი (ერთ ჩაის ჭიქაზე ერთი სუფრის კოვზი) და გააცივეთ.

სუფრაზე მიტანისას ჩაი სირჩებში ან ფინჯნებში ჩაასხით, მოათავსეთ შიგ ყინული (თითო პატარა ნაჭერი ყველ ფინჯანზე) და თხლად დაჭრილი თითო ნაჭერი ლიმონი ან ფორთოხალი (შეიძლება ვაშლიც).

### ცივი ჩაი ხილ-კენკრის წვენით

ცივი ჩაი მოამზადეთ ზემოთ აღწერილი წესით, შემდეგ თითოეულ ჭიქა ჩაის დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი რომელიმე ხილკენკრის წვენი (ყურძნის, ალუბლის, მაყვლის, მოცხარის და სხვა). სირჩებში ან ფინჯნებში მოათავსეთ თითო ყინულის ნატეხი, ლიმონის თხელი ნაჭერი და დაასხით ზედ წინასწარ გამზადებული ცივი ჩაი.

### ჩაის ღვეზელი

ფაიფურის ჩაიდანს გამოავლეთ მდუღარე წყალი, ჩაყარეთ შიგ ორი ძალიან სავსე ჩაის კოვზი ხმელი ჩაი და ჩაასხით ერთნახევარი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. შემდეგ ჩაიდანს დააფარეთ ჩაის ტილო და გააჩერეთ 10 წუთი.

ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი დაყარეთ ტაფაზე, დადგით ცეცხლზე და მოშუშეთ (მოწითალო ფერი უნდა მიიღოს). შემდეგ თანდათანობით დაასხით ერთი ჭიქა წინასწარ გამზადებული გაწურული ჩაის ნაყენი (ოღონდ ცოტა შორიდან დაასხით, რომ შხეფები არ მოგესხათ) და შეუწყვეტლივ ურიეთ. როცა შაქარი კარგად გაიხსნება, გადმოდგით ცეცხლიდან და შეაგრილეთ.

ორი კვერცხის გული კარგად გათქვიფეთ ერთ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილში, დაუმატეთ ერთმანეთში არეული ორი სუფრის კოვზი რომელიმე ხილფაფა ან ჯემი და ორი სავსე სუფრის კოვზი ერბო. შემდეგ დაასხით წინასწარ გამზადებული შეგრილებული ჩაი და თანდათანობით აურიეთ შიგ ერთი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა და ორი ჩაის ჭიქა პურის თქვილი. ბოლოს დაუმატეთ კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა, აურიეთ, მოაქციეთ ერბოწასმულ ყალიბში და გამოაცხვეთ.

გამომცხვარი ღვეზელი გადმოიღეთ ყალიბიდან და მოაყარეთ წმინდად დანაყილი შაქრის ფხვნილი. შეგიძლიათ ასეც მოიქცეთ: გამომცხვარი ღვეზელი შეაგრილეთ, წაუსვით რომელიმე ხილფაფა ან ჯემი და მოაყარეთ დანით დაკეპილი მოხალული ნიგოზი.



### ჩაით გაჟღენთილი კექსი

რვა კვერცხის გული გათეთრებამდე გათქვიფეთ ერთ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილში და აურიეთ ერთი ჩაის ჭიქა პურის ფქვილი (შეგიძლიათ იხმაროთ ნახევარი პურის ფქვილი და ნახევარი — კარტოფილის ფქვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი). შემდეგ დაუმატეთ კარგად ათქვეფილი შვიდი კვერცხის ცილა, აურიეთ, ჩაასხით კარაქწასმულ მოგრძო ყალიბში და შედგით ღუმელში გამოსაცხობად. გამომცხვარი კექსი გადმოიღეთ ყალიბიდან და შეაგრილეთ. შემდეგ კექსის ზედაპირი გაჟღინთეთ სურნელოვანი ჩაის ნაყენით (სურნელოვანი ჩაის ნაყენი ასე მზადდება: სამი ჩაის კოვზი ხმელი ჩაი ჩაყარეთ ფაიფურის ჭურჭელში, დაასხით ერთი მეოთხედი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ სახურავი და დააფარეთ ჩაის ტილო. 5-6 წუთის შემდეგ გაწურეთ და შეაგრილეთ).

ცალკე მომინანქრებულ ჭურჭელში აადუღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი, ჩაყარეთ შიგ თანდათანობით ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და განუწყვეტლივ ურიეთ. როცა შაქარი კარგად გაიხსნება, გააციეთ და შეურიეთ წინასწარ მომზადებული, შეგრილებული ჩაის ნაყენი და ერთი სუფრის კოვზი კონიაკი (შეიძლება, უკონიაკოდაც მომზადდეს).

როცა კექსი კარგად გაიჟღინთება სურნელოვანი ჩაით, გემოვნებით მოაყარეთ წმინდად დანაყილი შაქრის ფხვნილი.

**თამარ სულაქველიძე**

# კოსმეტიკა

## ფერის-მჭამელი

უბრალო ფერისმჭამელი ანუ, როგორც მას უწოდებენ, ვულგარული კანი, ახალგაზრდათა დაავადებაა, რომელსაც ძირითადში სებორეა უდევს საფუძვლად.

ცხიმის ჯირკვლების ფუნქციის რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს, რასაც ცხიმის გადაჭარბებული გამოყოფა და მისი კანის ზედაპირზე დაგროვება მოჰყვება, სებორეას უწოდებენ. გამონაყარი უფრო შესამჩნევია გარდამავალ ანუ სქესობრივი მომწიფების (15-17 წ.) ასაკში. სებორეის მიზეზი შეიძლება იყოს ზოგიერთი ფსიქიკური განცდა, კუჭ-ნაწლავის დაავადება, საერთო სისხლნაკლებობა, ჭიებით ინტოქსიკაცია და სასქესო ორგანოების ქრონიკული დაავადებანი.

ცხიმიანი კანი ყოველთვის ბზინავს (პირის დაბანვის მეორე საათიდანვე), ცხიმისა და ოფლის გამომტანი სადინარები გაფართოებულია და კანი ფორთოხლის ქერქს მოგვაგონებს. გაფართოებულ ფორებში ხშირად ლაგდება მტვრის ნაწილაკები, რაც ცხიმთან ერთად წარმოშობს ერთგვარ საცობს ე. წ. კომედოს, რომელსაც შესაძლებელია ზედ დაერთოს მიკრობები და მოგვცეს ანთებადი პროცესები ჩირქგროვების სახით.

არის ზერელე და ღრმა ანთებადი ფერისმჭამელები — პირველი აზიანებს მხოლოდ ცხიმის გამომტან სადინარებს, ხოლო მეორის დროს კი პროცესში მთლიანად ცხიმის ჯირკვალია ჩათრეული.

ვულგარული კანი ერთნაირად გვხვდება როგორც გოგონებში, ისე ვაჟებშიც, გარდა სახისა, გამონაყარი შეიძლება გავრცელდეს გულმკერდისა და ბეჭების არეშიც. მისი მკურნალობა და მოვლა ადვილი და ეფექტურია, თუ დროზე მივაქცევთ ყურადღებას.

თავდაპირველად ცხიმიანი კანის მოვლა ძირითადში მდგომარეობს კანზე არსებული ზედმეტი ცხიმის მოშორებით. პირი ხშირად უნდა დაიბანოთ თბილი წყლითა და ტუტიანი საპნით („კრასნაია მოსკვა"), შემდეგ კი ცივი წყალი გადაივლოთ. დაბანის შემდეგ საჭიროა სახის გაწმენდა 2%-იანი სალიცილის სპირტით, ან რომელიმე ლოსიონით (როგორიც არის „უტრო"); შეგიძლიათ თვითონ დაიმზადოთ საჭირო ლოსიონი შემდეგნაირად: ერთი კვერცხის ცილა ოდნავ ათქვიფეთ, ჩაუმატეთ ერთი ლიმონის წვენი. და ჩაასხით ბოთლში. ცალკე 50 გრ ადუღებულ ცხელ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი ბორაქსი (ბურა) და გააცივეთ; შემდეგ ჩაუმატეთ იმავე რაოდენობის არაყი, ჩაასხით ბოთლში და კარგად შეანჯღრიეთ. მიღებული ხსნარით სახე უნდა გაიწმინდოთ პირის დაბანიდან ერთი საათის შემდეგ.

თუ სახეზე შავი წერტილები და საცობები გაქვთ, მათ მოსაცილებლად ჩაიტარეთ ე. წ. მარილის პროცედურა: ორი ჩაის კოვზი წმინდა სუფრის მარილი გახსენით 3%-იან წყალბადის ზეჟანგში ფაფის სისქემდე. სახე წინასწარ სუფთად დაიბანეთ. ფერიმჭამლებიან ადგილებში შეიზილეთ აღნიშნული მასა ბამბის ან მარლის პატარა ნაჭრით. როცა წვას იგრძნობთ, ჩამოიბანეთ წყლით. ასე გააკეთეთ ორი დღის განმავლობაში, შემდეგ ორ დღეს კი სახე იბანეთ ცხელი წყლით და საპნით დღეში ორჯერ. მე-5 დღეს ოდნავ შეორთქლილ სახეზე დაიდეთ რომელიმე დამარბილებელი კრემი, დაიტოვეთ 5 წუთს და ჩამოიბანეთ სუფთა ღრუბლით, გადაივლეთ ცივი წყალი, გაიმშრალეთ და სახე გაიწმინდეთ 3%-იანი წყალბადის ზეჟანგით. თუ აღნიშნულმა პროცედურამ თქვენთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო ან სახეზე ჩირქგროვები შეამჩნიეთ, მაშინ მიმართეთ საექიმო კოსმეტიკურ სამკურნალოს.

ცხიმიანი კანის მკურნალობა მარტო სახის მოვლით არ შემოიფარგლება. საჭიროა კვების რეჟიმისა და დიეტის მკაცრად დაცვა. უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირწყლებითა და მარილით მდიდარი საკვებით, აგრეთვე წიწაკის, მდოგვისა და ალკოჰოლის, ასევე შოკოლადისა და ყავის დიდი რაოდენობით მიღება იწვევს ცხიმის ჯირკვლების გაძლიერებულ სეკრეციას და ორგანიზმის მგრძნობელობის აწევას. ამიტომ ის პირები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ სიმსუქნისა და სებორეისადმი, უნდა იკვებებოდნენ უმეტესად ბოსტნეულითა და რძის პროდუქტებით. მათ ყურადღება უნდა მიაქციონ კუჭ-ნაწლავის ყოველდღიურ მოქმედებას, ყაბზობის დროს რეკომენდებულია მაგნეზიის 15%-იანი ხსნარის მიღება დღეში სამჯერ სუფრის კოვზით. კარგია აგრეთვე ასკილის ნაყენიც.

**თამარ რომანკო-დუდუჩავა.**

ექიმი-კოსმეტოლოგი.

# რჩევა დიასახლისებს

ძალზე სასარგებლოა ყოველდღიურად საუზმის დროს ან საღამოს, დაწოლის წინ ერთი ჭიქა ხილის ან ბოსტნეულის წვენის დალევა. განსაკუთრებით გირჩევთ პამიდვრისა და სტაფილოს წვენს. მათში შედის ვიტამინი „A", რომელიც კარგად მოქმედებს კანზე, ხელს უშლის მის ნაადრევ დაბერებას.

*

თუ თქვენ მალე იღლებით, არ ღირს საღამოობით ტელევიზორის წინ დიდხანს ჯდომა. ადრიანად ჩაწექით ლოგინში და ეცადეთ იძინოთ არანაკლებ 8 საათისა. ძილის წინ გამოაღეთ ფანჯარა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. რასაკვირველია, ყველაფერს ჯობია ძილის წინ გასეირნება.

თუ დაღლილობა და თავის ტკივილი დილიდან აგყვათ, ნუ იჩქარებთ ტაბლეტის მიღებას ან შავი ყავის დალევას. გამოაღეთ ფანჯარა, რამდენიმეჯერ ღრმად ჩაისუნთქეთ ცხვირით და დილის ვარჯიში დაიწყეთ.

*

ახალისებს და ძალას აძლევს ადამიანს საღამოს თბილი აბაზანა. აბაზანაში ჩააგდეთ ორი ტაბლეტი ნაძვის ექსტრაქტი და 500 გრამი მარილი. თუ ასეთ აბაზანებს მთელი კვირის განმავლობაში მიიღებთ, ისეთი გრძნობა გექნებათ, თითქოს რამდენიმე წლით გაახალგაზრდავდით. ბანაობის დროს სასარგებლოა ტანის დაზელვა ჯაგრისით. ეს არეგულირებს სისხლის მიმოქცევას და ძალიან კარგად მოქმედებს კანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ იყო შიში, ნუ იყო დაღლა...



მხედარი ენგურის ნაპირს მიადგა, მდინარეს უჩვეულო არაფერი ეტყობოდა, მაგრამ უცბად, თითქოს, გული მოუვიდა: ქალი როგორ ბადავს ჩემთან შებმასო, აბობოქრდა. ფიქრის დრო არ იყო, არც დაყოვნება შეიძლებოდა, გაღმა, ფახულანში კრება იყო დანიშნული.

მთელი სოფელი ელოდა სტუმარს, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის დავალებით კრების ჩატარებაში უნდა მიეღო მონაწილეობა და იმავე ღამეს შედეგი ცენტრალური კომიტეტისათვის ეცნობებინა.

ქალმა ხადავე მოხერხებულად მოზიდა და ცხენი ადიდებულ მდინარეში შეაცურა...

იმ ღამეს კრება ღამის სამ საათზე დამთავრდა. ეს ამბავი 1928 წელს მოხდა, როცა საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ აურაცხელი მტერი ჰყავდა და ჩვენს ქვეყანას გამოცდილი და ენერგიული პარტიული მუშაკები სჭირდებოდა. ერთ-ერთი ასეთი მუშაკი იყო ნინო სოსელია, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით დადიოდა რაიონებში. მონაწილეობდა კოლექტივიზაციის გატარებაში, განუმარტავდა მასებს საბჭოთა ხელისუფლების არსს, მის მიზნებსა და ამოცანებს...

წალენჯიხის პარტიის რაიონულმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, რათა ნინო მათ განკარგულებაში გაეგზავნათ, თხოვნა დააკმაყოფილეს. ნინომ—პარტიის წალენჯიხის რაიკომის ქალთა სექტორის გამგემ — დიდი მუშაობა გასწია რაიონის წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულების საქმეში ქალთა ჩაბმისათვის და ხელმძღვანელობის მადლობა დაიმსახურა...

ჯერ კიდევ ადრე, როცა ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე იყო, ნინო ასრულებდა პარტიის დავალებებს: მან კავშირი დაამყარა ქუთაისის ციხეში გამომწყვდეულ პოლიტიკურ პატიმრებთან, აწვდიდა მათ საჭირო ცნობებს, გადასცემდა სურსათსა და ტანსაცმელს...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს ნინო თბილისში ჩამოდის და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა იურისტი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზეა:

მუშაობდა თბილისის გაერთიანებული სახალხო სასამართლოს მოსამართლედ, ქალაქ თბილისის სტალინის (ახლანდელი პირველი მაისის) რაიონის სახალხო მოსამართლედ, ორჯონიკიძის და 26 კომისრის რაიონების სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ, არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

კმაყოფილებით იგონებს ნინო სოსელია, ამჟამად უკვე პერსონალური პენსიონერი, განვლილ წლებს, როცა მისთვის არ არსებობდა შიში, დაღლა და მერყეობა.

ნანული არჩვაძე

* * *

გაზაფხულის პირზე თმა უხეშდება, სწორდება და თითქოს ხუნდება. ყოველდღიურად დაივარცხნეთ თმა ჯაგრისით 100-150-ჯერ სხვადასხვა მიმართულებით—კეფიდან შუბლისკენ, მარცხნიდან მარჯვნივ და ასე შემდეგ.

* * *

თუ ხელები და ტუჩები ქარმა დაგიხეთქათ, საღამოს ყველა საქმეს რომ მორჩებით, დაიბანეთ ხელები თბილი წყლით და დაიზილეთ გასაპნული ჯაგრისით. შემდეგ კარგად გაიმშრალეთ და წაისვით გლიცერინი ან ცხიმიანი კრემი. საღამოს, როცა კბილებს გაიწმენდთ, გარეცხეთ კბილის ჯაგრისი და გაიკეთეთ ტუჩებისა და ღრძილების მასაჟი. დახეთქილ ტუჩებზე ღამით თაფლი წაისვით. თუ თვალები მალე გეღლებათ, გირჩევთ გაიკეთოთ ჩაის ან გვირილის ნაყენის საფენები (ერთ მწიკვ გვირილას დაასხით მდუღარე წყალი, ცოტა ხანს გააჩერეთ. შემდეგ ამ ნაყენით დაასველეთ ბამბის ტამპონი და 5 წუთით დაიდეთ ქუთუთოებზე).

* * *

გაზაფხულის პირველ ამინდში ადამიანი უფრო ხშირად ცივდება. უმკურნალეთ თავს ისე, როგორც ექიმი გირჩევთ, მაგრამ ჩვეულებრივ წამლობასთან ერთად გაიხსენეთ ერთი შინაური რეცეპტიც: ცხელი წყლით სავსე ჭიქაში გახსენით 1-2 ჩაის კოვზი თაფლი, ჩააწურეთ ლიმონის წვენი და ძილის წინ დალიეთ.




## წაიკითხეთ

გასული წლის ბოლოს, გამომცემლობა „ნაკადულმა" მშვენიერი საჩუქარი უძღვნა მკითხველებს: კრებული „მსოფლიოს პოეტები დედას". კრებული სამართლიანად პასუხობს ამ დასათაურებას; საქართველო და სომხეთი, რუსეთი და ლიტვა, უნგრეთი და აზერბაიჯანი, უკრაინა და არგენტინა, იამაიკა და ანგოლა, კანადა და იტალია, ინგლისი და იაპონია, ამერიკა და ბულგარია, ჩილე და ინდოეთი, მწვანე კონცხის კუნძულები და პანამა... და კიდევ რომელი კუთხე ჩამოვთვალოთ ჩვენი პლანეტისა, სადაც არ ძგერდეს ყველაზე ძვირფასი გული — გული დედისა. იგი ძრთოლვით შეჰხარის პირველ ნაბიჯს შვილისას, სიამაყით უთვალთვალებს მის დავაჟკაცებას, სევდიანი თვალით აცილებს შორეულ გზაზე, ულოცავს მტერთან შესაბმელ მარჯვენას, ურთებს გულს შამულის სიყვარულით, და სიხარულით ხვდება ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულს. დედა!.. თემა დედისა იყო, არის და მარად იქნება შემოქმედების უშრეტი წყარო. რომელ ენაზე არ გახმიანებულა ლექსის სტრიქონებში დედის ძვირფასი სახელი? პოეტმა მორის ფოცხიშვილმა მეტად დიდი შრომა გასწია — მან შეკრიბა და დიდი გემოვნებით თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან დედისადმი მიძღვნილი ლექსები. წიგნის რედაქტორებია — პოეტები შოთა ნიშნიანიძე და ტარიელ ჭანტურია, მხატვარი — თამარ ჯიშკარიანი. გირჩევთ, წაიკითხოთ ეს წიგნი, რომელიც აგავსებთ სიკეთითა და სიყვარულით.



# კორეელი ვუნდერკინდი

ქ. სეულის სამშობიარო სახლის ექთანები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: უნგ იონგ კიმი მახინჯი დაიბადაო. დედა თავისი სახლის სხვენზე მალავდა კუპრივით შავი თმით დაფარულ უსუსურ შვილს. მაგრამ გავიდა სამი წელი და კიმი უკვე ინტერვიუს იძლევა რადიოთი.

ბავშვმა დაბადებიდან ათი კვირის შემდეგ სახე იცვალა, სხეულზე თმა გასცვივდა, ხოლო სამთვენახევრის შემდეგ ლაპარაკი დაიწყო. გავიდა კიდევ ექვსი კვირა და საწოლში მჯდომარე ბიჭუნამ მაგარი საჭმელი — ბოლოკი და სხვა ბოსტნეული მოითხოვა. ცოტა ხნის მერე კი წერა-კითხვა ისწავლა.

ორი წლის კიმმა დღიურის წერა დაიწყო:

— რატომ უნდა დავიძინო?

— რატომ უნდა დავხუჭო თვალები?

— რატომ არ შემიძლია გახელილი თვალებით დავიძინო?

და პატარამ ლამაზი ხელით იქვე მიაწერა პასუხი:

„როცა თვალები გახელილი გაქვს, აზრის ნაკადი წყდება".

ასეთი მძიმე ფიქრებისაგან გასათავისუფლებლად ის ხატავს აბსტრაქტულ სურათებს, მღერის და გაოცებულია ბაზარში სეულელი ვაჭრების ოინებით.

„თავდაპირველად საქონელი ოთხი ათასი ღირს. როცა ბებია უარს ამბობს ყიდვაზე, ფასი რაღაც მანქანებით სამი ათასამდე ეცემა. მაშინ მე ისღა დამრჩენია, რომ ვიცინო. ვაჭარი ტყუის. ბაზარზე ყველა ტყუის".

ახლა სამი წლის კიმი და ცამეტი წლის ბავშვები ერთ კლასში სწავლობენ. იმისათვის, რომ ბიჭუნა მერხს შესწვდეს, სკამზე წიგნების შეკვრა უდევს.

კიმი პასუხს იძლევა მასწავლებლის ყველაზე რთულ შეკითხვებზე, მას შეუძლია თვალის დახამხამებაში გადაწყვიტოს უმაღლესი მათემატიკის აბსტრაქტული პრობლემები, რაც მეატომე ფიზიკოსებსა და ასტრონომებსაც კი უჭირთ.

„თავისი მრავალმხრივობით მან ფილოსოფოს ბერტრან რასელსაც გადააჭარბა", — ასეთ შეფასებას აძლევენ კიმს მასწავლებლები. „იგი შეიძლება მეორე ეინშტეინად მოგვევლინოს" — აცხადებენ ბავშვის მსჯელობით გაოცებული მეცნიერები.

კიმის ნიჭი უკვე სამჯერ შეამოწმეს იმ სისტემით, რომლითაც შვიდი წლის ამერიკელ ბავშვებს ამოწმებენ. კორეელმა ბიჭუნამ ჯერ 175 ქულა მიიღო, მერე — 200, ბოლოს კი — 210, მაშინ, როცა ამ სისტემის მიხედვით ის, ვინც 160 ქულას გადააჭარბებს, გენიოსად ითვლება.

მიუხედავად თავისი ტალანტისა, სამი წლის კიმი მაინც ბავშვია. მას უყვარს სეულის ქუჩებში სირბილი და თავის პატარა თანატოლებთან ბურთის თამაში.

მაგრამ თამაშის შემდეგ ბიჭუნა ისევ მოაზროვნედ გარდაიქმნება, კითხულობს ფილოსოფიურ წიგნებს და სწავლობს აღმოსავლეთ აზიის პოეზიას.

კიმმა ასტროლოგების ყურადღებაც მიიპყრო, მათ უნდათ ბავშვის ზღაპრული ნიჭის წყარო ვარსკვლავებს მიაწერონ; მისი მშობლები, სეულის უნივერსიტეტის დოცენტები, ბედნიერ ვარსკვლავზე — 1934 წლის 23 მაისს ერთსა და იმავე საათს დაიბადნენ.

„ბოლგარსკაია ჟენშჩინა"

# ეს დღე, ალბათ არასოდეს დაგავიწყდებათ!

ყოველ დილით ფართოდ იღება თბილისის ქორწინების სახლის მინის ლამაზი კარი. აქ მოდიან სახეგაბრწყინებული წყვილები, ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლების თანხლებით, მოდიან, რომ ამ ახალი, მოდერნიზებული სახლის ჭერქვეშ თავიანთი ბედი ერთმანეთს დაუკავშირონ.

მათ გულთბილად ეგებებიან...

პირველი გულნარა მათითაშვილი ეცნობა მექორწინეებს. ის ღებულობს განცხადებას ქორწინების ნებართვის შესახებ, 4-5 დღით ადრე. ეს დრო საჭიროა, რომ ახალგაზრდებმა ერთხელ კიდევ კარგად შეამოწმონ თავიანთი თავი, თავიანთი გრძნობა, წარმოიდგინონ მომავალი ოჯახი, გაითვალისწინონ ყველა სიძნელე.

ინიშნება ქორწინების დღე.

ეს დღე ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია ადამიანის ცხოვრებაში.

ამ დღეს

მადონა ფაცურია ნეფე-დედოფალს ქორწინების საქტო ჩანაწერს უფორმებს;

ნანა ლომია თავაზობს ახალი ცხოვრების პირველ საგზურს, ქორწინების მოწმობას; შემდეგ ჩამოართმევს ნიშნობის ბეჭდებს, რომლებსაც ბედნიერების დარბაზში ხელზე უკეთებენ;

ლამარა ჯაფარიძე ცერემონიალის მიხედ-


გარეკანზე — სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნამუშევრები: „დედა", „პირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს", „ბაზრობა".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 9-50-39, 9-98-71, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/I-68 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 4832. უე 04896. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ცვლის მუსიკას და მიკროფონით ბედნიერების დარბაზში იწვევს მექორწინეებს.

ბედნიერების დარბაზი...

ჟღერს საქორწინო მარში და საზეიმო მუსიკის ჰანგებს ქვეშ ქორწინების სახლის დირექტორი ჯულიეტა ბოლქვაძე ხელმოწერას ადასტურებს.

აქ, ამ ცისფერ დარბაზში, ხელი მოაწერა 15 ათასმა წყვილმა. 30 ათასმა ოქროს ბეჭედმა გაიელვა ჯულიეტას ხელში, რომელსაც მან გულწრფელი, კეთილი სურვილები გაატანა.

ბედნიერება, გამრავლება, ოჯახის სიმტკიცე უსურვა ახალდაქორწინებულთ!

მათი მომავალი ბედით კი აქ ყველა დაინტერესებულია.

დაინტერესებულია ქალაქის საბჭოს და რაიონული საბჭოს დეპუტატები, რომელნიც ქორწინების რეგისტრაციას ხშირად ესწრებიან;

დაინტერესებულია არქივარიუსი მედეა წივწივაძე, რომელსაც ზოგჯერ განმეორებით თხოვენ ქორწინების მოწმობას და ის დაეჭვებით კითხულობს, ხომ არ არის რაიმე გაუგებრობა ახალ ოჯახში?...

ახალი ოჯახი, ახალდაქორწინებულები... ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ ისინი.

ამ სამი წლის წინ ჩვენმა დედაქალაქმაც აუშენა მათ ქორწინების სახლი. მისი კეთილმოწყობისა და გემოვნებით გაფორმებისათვის ახალგაზრდა მხატვრებმა და არქიტექტორებმა იზრუნეს. ქორწინების სახლის დირექტორი ჯულიეტა ბოლქვაძე მათთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინტერიერის ახლებურად, თანაც ქართული კოლორიტისათვის შესაფერის მოწყობაზე. სასიამოვნო ფერებითა და შესანიშნავი ჭედური პორტრეტებით გააფორმეს ფოიები, საბანკეტო დარბაზი. განსაკუთრებული გამოვიდა ბედნიერების დარბაზი, სადაც ქართველი ქალ-ვაჟის სახეების ჭედურობა ქორწინების სიმბოლოდ იქცა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის უფროსმა მასწავლებლებმა მაშინ საგანგებოდ დაამზადეს კერამიკის იშვიათი ჭურჭელი და საჩუქრად მიართვეს ქორწინების სახლს, ვაჭრობის მუშაკებმა საიუველირო საქონლით დაამშვენეს ფოიები, გამწვანების ტრესტმა ყვავილები შეაგება კარებში მექორწინეებს...

უფროსმა თაობამ ფუძე დაულოცა ახალ ჭერს.

ფეხბედნიერია ქორწინების სახლი. გახსნის დღიდან (1964 წ. 30 აგვისტო) დღემდე აქ ხელი მოაწერა 15 ათასმა წყვილმა. 15 ათასი ახალი ოჯახი შეემატა ჩვენს დედაქალაქს.

აქ დაწყვილდა მრავალი ქალ-ვაჟი, აქ დაქორწინდნენ ჩვენი სასიქადულო, სახელმოხვეჭილი ახალგაზრდები: ელისო ვირსალაძე, ლიანა ისაკაძე, ალექსანდრე ასათიანი... ამ



სახლის პირველი მექორწინე იყო ვილი ალავიძე.

ქართული ქორწილის ნახვით დაინტერესებულ უცხოელ სტუმრებს ქორწინების სახლში ეპატიჟებიან. ბულგარელები, პოლონელები, გერმანელები, ინგლისის მერი აღტაცებული დარჩნენ თბილისის ქორწინების სახლით.

ახლა, როცა ასე სწრაფად იზრდება თბილისი, მას ფეხდაფეხ მიჰყვებიან ბავშვებიც. მერე ისინი ჭაბუკდებიან, ქალიშვილდებიან და წყვილდებიან. ალბათ, მალე მათ აღარ დააკმაყოფილებთ დღევანდელი ქორწინების სახლი და საჭირო იქნება უფრო დიდი ქორწინების სასახლე.

მაშინ ქორწინების სასახლესთან აუცილებლად გაიხსნება სპეციალური მაღაზიები ახალდაქორწინებულთათვის. ისინი იქვე შეიძენენ საჭირო ნივთებს და აღარ დაიწყებენ ძებნას, რაც მათ, ბედნიერების დღეს ზოგჯერ აღიზიანებთ კიდეც.

აღარ ირბენენ სამოგზაუროდ წასასვლელი ბილეთებისათვის, მათ ექნებათ საგანგებო ჯავშანი.

ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებაში ჩატარებისათვის კვირის ყველაზე მოსახერხებელ დღე — შაბათია დანიშნული.

და ახლა, ყოველ შაბათს, ქორწინების სახლის ბედნიერების დარბაზში ჟღერს საქორწინო მარში, აღმავალი მუსიკის ჰანგებს ქვეშ საზეიმოდ გაისმის ჯულიეტა ბოლქვაძის მილოცვა:

„დღეს თქვენ იწყებთ ახალ ცხოვრებას, ქმნით ოჯახს და ამ ახლადშექმნილი ოჯახის სახელით ერთმანეთს საზეიმოდ აძლევთ გულწრფელ, უანგარო დაპირებას, რომ მთელს თქვენს ცხოვრებას გაივლით ურთიერთის სიყვარულით და პატივისცემით. თვალისჩინივით გაუფრთხილდებით ოჯახს, აღზრდით შვილებს“...

ოჯახი, შვილები — ეს ორი ცნება განუყოფელია და მათ გარეშე ადამიანის ცხოვრებას შინაარსი გამოცლილი აქვს. ამიტომ ყველგან, დედამიწის ყველა კუთხეში, ახალგაზრდებს ქორწინების დღეს უსურვებენ ტკბილ ოჯახს, კარგ შვილებს, ურთიერთპატივისცემას და ერთგულებას.

ჩვენც თქვენი ქორწინების დღეს, თქვენი სიყვარულის ზეიმის დღეს, ახალდაქორწინებულებო, გისურვებთ ბედნიერებას, დიდ სიყვარულს და გამრავლებას!

**ირმა ჩოფიკაშვილი**

6 85730





ИНДЕКС 76178